# ჩანგი

№ 37

შაბათი, 18 აგვისტო 1909 წ.

გაზეთი ღირს: ქალაქ გარეთ: წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მ., სამი თვით 3 მან. 50 კ., ერთი თვით—90 კ. თფილისში: წლით 7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან. 20 კ., ერთი თვით—80 კ. გამოწერა შეიძლება თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი პეტიტონი პირველ გვერდზე ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ საღამოს 5 ს-მდე 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. საღამოს 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს რედაქცია არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს. ინახებს ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პრინციპიალურ წერილებზე გამოსვლის შესახებ საჭიროა წინდაწინ მოლაპარაკება. წერილებით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. წერილები სუფთათ უნდა იქნეს დაწერილი ცალ გვერდზე და ავტორის სრული ვინაობით. რედაქცია საჭიროთ დაინახავს, წერილს შეასწორ-შეამოკლებს. ადრესის გამოსაცვლელათ საჭიროა ორი აბაზი. ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, типографія „Сорапань“, Калистрату Константиновичу Цуладзе.

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა, სახლი № 3 ზემო სართულში.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი



## ჩანგი

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

გაზეთი ღირს:

როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან.

| ქალაქ გარეთ | თფილისში |
|---|---|
| 3 თვით—2 მან. 50 კაპ. | 3 თვით—2 მან. 20 კაპ |
| 1 „ — — 90 „ | 1 „ — — 80 „ |

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან

ცალკე ნომერი ყველგან—ერთი შაური

რედაქციის ადრესი:

რუსის ქუჩა, სახლი № 3 ზემო სართულში.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი:

Тифлисъ, тип. „Сорапань“, Калистрату Конст. Цуладзе.



დედა პელაგია, ძმები: ვასილი, ივანე იოსები, გრიგორი და მეგობრები ვაუწყებთ ნათესავებს, ამხანაგებს და ნაცნობთ ქუთაისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის მოწაფის

მოსე ჩოლობარგიას

გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება შაბათს 18 აგვ. ქ. ოზურგეთში

გაიხსნა ახალი
თფილისის
კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვაგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

ექ. ი. გ. ფედოროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბავშვებისა.

ექ. გ. დამბაშიძე: ყოველ დღე, კვირა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ. და ბავშვ. ავათმყ. შეაჩერა მიღება 1-ლ სექტემბრამდე.

ექ. ბ. ა. პოპოვი: ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირას 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

ექ. ბ. მ. მაკაროვი: შეაჩერა მიღება 1 სექტემბრამდე.

ექ. ა. ნ. დიხამიძე: ყოველ დღე 11½—12½ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

ექ. ი. გომართელი: ყოველ დღე, 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი: ყოველ დღე, კვირა დღ. გარდა 2—2½ ს.; თვალის ავათმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. 100—38

ქ. ქუთაისში

თ. მთავრიშვილის

წიგნის მაღაზიაში დამზადებულია დიდძალი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სამეცნიერო, სალიტერატურო, სახალხო და საყმაწვილო წიგნები, ქართული და რუსული მოძრავი ანბანი, რვეულები ქართული და რუსული წერისათვის. აქვე იყიდება ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი

„გუთანი“,

შედგენილი ქართულ. გიმნაზიის მასწავლებლების მიერ. სასწავლებლებს, ბიბლიოთეკებს, საქველმოქმედო დაწესებულებებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ ათ პროცენტათ.

(თვ. 0—6)

აბასთუმანში

კბილის ექიმი

სამსონ ვაშაკიძე

იღებს ავათმყოფებს ყოველდღე მარიამობისთვის გასვლამდე. დაჩა ტერ-მარკაროვისა № 42.

გაზ. „ვარსკვლავი“

სხვადასხვა მიზეზების გამო 10 აგვისტოს არ გამოვიდა. რედაქცია ეცდება კვირაში გაზეთი ორჯერ გამოუშვას 1-ლ ენკენისთვიდან აუცილებლათ. (3—2)

კბილის ექიმი

ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათ-მყოფებს დილით 7—9 ს. საღამოთი 4—8 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათამდე. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს)

საჭირო არის გაზეთის გამყიდველი— აბაშაში და ახალსენაკში, დღეში დარჩება 1 მ. 50 კ.

პირობების გაგება შეიძლება სამტრედიის აგენტთან. საჭირო არის ბე. (5—3)

მასწავლებელი

თ. ქიქვაძე

ამზადებს ქალ-ვაჟთ გიმნაზიებისა, რეალური, საკომერციო, მიწის მზომელთა და იუნკერთა სასწავლებლებისათვის, კადეტთა კორპუსისა, სამასწავლებლო ინსტიტუტისა, საბუღალტერო კურსებისათვის, სახალხო სკოლის მასწავლებლათ და აფთიაქის საშეგირდოთ.

მიიღება ანბანის უცოდინარი პატარა ბავშვები, რომელთა ჯგუფში ჩაწერა უკვე დაწყებულია.

მასწავლებლათ მოსამზადებელთა პირველ ჯგუფში უკვე ეწერებიან და სწავლა დაიწყება, როცა 6 კაცი შესრულდება.

სპეციალური მომზადება ქართული გიმნაზიისათვის.

ქირა თითო თვის წინდაწინ.

ადრესი: ვერა, ოლღის ქუჩა. ზემელის აფთიაქის ახლო, № 17. 20 აგვისტოდან ადრესი გამოიცვლება. (18—5)


### ტფილისი, 18 აგვისტო

ბოიკოტს ვუცხადებთ ჩვენ ერობას თუ არა? ასეთ კითხვას გვასმევინებს ჩვენ „დროების“ მეთაურები. ამ გაზეთს გონია, რომ ერობის დემოკრატიზაციის მოთხოვნა და ამ დემოკრატიზაციისთვის ბრძოლა ეს დღევანდელი ერობის წინააღმდეგ ბოიკოტის გამოცხადებაა; მოვაგონებთ „დროებას“, რომ ჩვენ ბოიკოტს ჩვეული არა ვართ და ასეთ ტაქტიკის მიმდევრები სჯობია თავის მახლობელ ბანაკებში ეძიოს. ჩვენ არ გამოგვიცხადებია ბოიკოტი არც პირველი, არც მეორე და არც მესამე სახ. დუმისთვის, მიუხედავათ იმისა, რომ არც ერთის საარჩევნო სისტემა და უფლებები ჩვენ ოდნავათაც არ გვაკმაყოფილებდა. ჩვენ მაშინაც მივდიოდით ამ დაწესებულებებში და იქით კი ვიწოდებდით ხალხს, როცა „დროების“ ახლო წინაპრები ბოიკოტზე ლაპარაკობდენ და ის ერთათ ერთ სწორ და შეურყეველ ნაბიჯათ მიაჩნდათ. მაშინ გვაბრალებდენ, თქვენ ურიგდებით ასეთ უმსგავსს დაწესებულებებს და ამით ხალხს თვალებს უხვევთო, მარა არც მაშინ იყვენ მართალი ჩვენი მოწინააღმდეგენი და არც ახლა არიან. რატომ? აი ამის საბუთიც: მათ გონიათ, რომ თუ რაიმე დაწესებულებაში მონაწილეობას იღებ, უეჭველათ მას ურიგდები, მის სისტემას იწონებ და ადასტურებ, ხოლო თუ კრიტიკას უწევ და არ გაკმაყოფილებს, სიახლოვესაც არ უნდა გაეკარო. ასეთი შეხედულება შეიძლება სწორი იყოს შინაურ ცხოვრებაში ამხანაგ-მეგობრებში, მარა ის სრულიად გამოუსადეგარია და ყალბი, პოლიტიკურ ცხოვრების ასპარეზზე. პოლიტიკური დაწესებულება, როგორიც უნდა იყოს ის, საზოგადოებრივ წარმომადგენლობითი ორგანო, როგორი უფლებითაც უნდა სარგებლობდეს ის, მაინც ბრძოლის ველს წარმოადგენს და პოლიტიკურ პარტიისათვის იქიდან გაქცევა—ეს ბრძოლის დატოვებაა. ცხადია, ჩვენ ამას ვერ ჩავიდენდით. ჩვენ არ მოგვწონს დუმა, მარა იქ ჩვენს წარმომადგენლებს ვაგზავნით, რომ მისი ტრიბუნით ვისარგებლოთ და იქიდან ხალხის საჭიროებაზე და თვით დუმის გადემოკრატებაზე ვიზრუნოთ, ე. ი. ჩვენი მისწრაფებების განსახორციელებლათ ვიმუშაოთ შიგნით და, რასაკვირველია, გარეთაც.

ასევე ვუყურებთ ჩვენ ერობასაც. აქაც ჩვენ პრინციპიალურათ ერობის მომხრე ვართ და ცხადია, მისი ბოიკოტი, აზრშიაც არ მოგვივა, მარა ჩვენ არ მოგვწონს ის პროექტი, რომელსაც მთავრობა ადგენს, არ მოგვწონს არც ის პროექტი, რომელსაც ჩვენი საზოგადოებიდან მიწვეული პირები ადგენენ. ჩვენ არ შეგვიძლია მაგალითად დავეთანხმოთ ცენზის სარგებლობას, ან და დემოკრატიული და სამართლიანი ვუწოდოთ ისეთ საარჩევნო სისტემას, რომელიც გადასახადის დავვარათ მისცემს წოდებს ხმას ერობის საქმეში. ბ. ირ. გულისოვს კი, „ზაკავკაზიეში“ ეს სამართლიანათ მიაჩნია.

ჩვენ გვწამს შემოსავლის დაკვალათ გადასახადის გაწერის სამართლიანობა, მარა ხმის მიცემა ქონებისთვის და არა კაცისთვის—ეს ისეთი ფეტიშიზმია, ქონების დაჯილდოება უფლებებით ადამიანის მაგიერ—ეს ისეთი დამცირებაა ადამიანის პიროვნების, რომ მისი დაცვა მხოლოდ გულისოვებს შეუძლია და „ზაკავკაზიეს“: და როცა ამას ვხედავთ, ჩვენ არ შეგვიძლია კრიტიკის დარჯაკში არ გავატაროთ და ერობის საუკეთესო ფორმა არ წამოვაყენოთ. ასეა სხვა კითხვებშიც, მარა ამით ჩვენ თვით ერობას კი არ ვგმობთ, არც მის შემოღებას ვეწინააღმდეგებით, არამედ მის ნაკლს ვებრძვით. როგორიც უნდა იქნეს ერობა, ჩვენ მასში მონაწილეობაზე უარს არ ვიტყვით, ჩვენ ვიცით, რომ ბიუროკ. ბევრს სახეიროს არ მოგვცემს, თუ მოგვცა რამე, მარა არც ამით გავიბუტებით. პირიქით, ჩვენ მაშინ ვეცდებით როგორც ერობაში, ისე მის გარეთ დემოკრატიზაციისათვის ყოველი ღონე მივიღოთ, და ამიტომ თუ აქედანვე ვაცხადებთ ჩვენ აზრს ერობის შესახებ ეს დასაძრახისი კი არა, საქებური უნდა იყოს. არც ის გააჩერებს ჩვენს კრიტიკას, მთავრობას არ უნდა მეტის სოცემა. ეს იმიტომ, რომ თავის მოქმედებაში ჩვენ ვეყრდნობით ხალხის ინტერესებს, ხოლო რამდენათ ეს ორი ერთმანეთს შეეგუება, ამას თვით ხალხი დაინახავს. ჩვენ აქ მხოლოდ იმას ვამბობთ, რაც, ჩვენის აზრით უფრო შეეფერება ამ ინტერესებს. ამის დამალვას ვერც „ჭეშმარიტები“ დაგვაბრალებენ და ვერც ჩინოვნიკები. მათ მოწონებას და აზრს ჩვენი აზრის შეცვლა არ შეუძლია. მათთვის ჩვენ თავის პრინციპს ჯიბეში ვერ დავმალავთ. ეს მათი საქმეა, ვისაც პრინციპი ხელთათმანი გონია და მისი შემონახვა შესაძლებლათ მიაჩნია.

### სამგლოვიარო დეპეშები და წერილები

**სევერიანე ჯუღელის გარდაცვალების გამო**

**იარენსკი.** ვოლოგდის გუბერნიის იარენსკში მყოფ პოლიტიკურ გადასახლებულთა ჯგუფი ღრმა მწუხარებას აცხადებს მეორე დუმის ს.-დემოკრატიულ ფრაქციის ყოფილ წევრის სევერიანე ჯუღელის გარდაცვალების გამო.

მარქსისტები.

—

**მოსკოვი.** ვსტირი წამებულ სევერიანეს.

მ. ნინიძე.

—

**იალტა.** გულდაკოდილი ვგლოვობ ძვირფას სევერიანეს უდროოთ დაკარგვას.

ილიკო.

—

**კისლოვოდსკი.** ღრმათ დაგვამწუხრა ძვირფას სევერიანე ჯუღელის უდროოთ დაკარგვამ.

სერგო ჯაფარიძე, დავით რუხაძე, სტანისლავ სიკუდა, ვ. კერვალიძე, ი. ლეკიშვილი, ვ. კეკელიძე, ს. ლობჟანიძე, ივანე ლობჟანიძე, ლავრენტი ბიბინაძე, სარდიონ ღოლიძე, ი. ირაჩენკო, ეპიფანე ენუქიძე, იოსებ გაგირელი.

—

**ჩორნი იარი.** გულით ვსწუხვართ ძვირფას ამხანაგ ჯუღელის დაკარგვას.

მ. შტეინი, გ. საბაგაშვილი, ი. მლოცველავა, ა. ჯინჭარაშვილი, ი. კეზევაძე, ა. თარხნიშვილი.

—

**სოხუმი.** თავზარი დაგვცა მუშათა ინტერესების ერთგულ დამცველ სევერიანე ჯუღელის დაკარგვამ.

სოხუმის მუშათა მონდობილობით გრ. ერქომაიშვილი.

—

**სევასტოპოლი.** სევასტოპოლში მყოფი ქართველები უკანასკნელათ ვემშვიდობებით ძვირფასს სევერიანეს.

რობაქიძე, ნოსელიძე, კალისტრატე ბარამიძე, ჩარიშვილი, დავიდოვები.

(წერილები)

**რედაქციამ მიიღო:** ქუთაისიდან პ. კარიათელისაგან, ბათუმის დეპოს მუშებიდან, ბათუმის მოსამსახურეთაგან ლადიკო ანდღულაძე, ლავრენტი სიხარულიძე, ვალერიან გოგიაშვილი, ვასილ გოგიაშვილი, ნინა გოგიაშვილი, ნესტორ კიკვაძე, სილიბისტრო გოგოლაძე, მირიან უნგიაძესაგან, სოკრატ ჭელიშვილისაგან, პორფილე თავაძისა და ვასილ თავაძიდან, კუნჭულიასაგან, არტემ და ვანო სულავებისაგან, თედორე კოიძე და ფილიპე კაკულიასაგან.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16—17 აგვისტო.

**თეირანი.** სალახამეებმა, თეირანიდან ხამადინში წასვლის დროს ნაციონალისტების წინააღმდეგ, გაძარცვეს გზაზე ყველა ქარვასლები. ბახტიარები გზებზე სძარცვავენ.

**თავრიზი.** ურმიიდან იტყობინებიან, რომ სოფელ მარზერგირგიზში ქრისტიან გლეხების დასაცველათ ქურთებისაგან გაიგზავნა საელჩოს კონვოი კაპიტან ლევეიტამის წინამძღოლობით. ქურთები სროლით შეხვდენ. კონვოიმ პასუხი გასცა. სროლა მთელი დღე გაგრძელდა. დაიჭრა ორი სალდათი. ქურთებმა ოცი კაცი დაჰკარგეს.

**თავრიზი.** ისევ გამოჩდენ კავკასიიდან გადმოსულები. სათარხანს და მის ფიდაებს ამხნევებს ცნობები თეირანში საიდუმლოთ სიკვდილით დასჯის შესახებ. ცნობა მოვიდა, რომ რახიმ ხანი აგარაში დიდის ამბით შეხვდა რუსის აფიცრებს.

**არდებილი.** თავრიზის გზა გაიხსნა რუსეთის საელჩოს მიერ მიღებულ ზომების წყალობით. არდებილიდან 200 აქლემის ქარავანი მოვიდა.

**თეირანი.** ფოსტის ყოფილი მინისტრი ზუხაპ-დოულე, რომელიც იმალებოდა, რადგან მან შახის ჯარს გადასცა, მეჯლისის დანგრევის შემდეგ, მის ბაღში დამალული რამდენიმე ნაციონალისტი, რუსეთის მისიის ბესტში ჩიჯდა.

**ოსმალეთი.**

**სალონიკი.** როგორც აქ ცნობა მოვიდა ჩერნოგორიის საზღვარზე ბერანეს ახლოს, სოფელ დიდში მესამე დღეა ჩერნოგორელებსა და ალბანელებს შორის სროლაა გამართული. შეტაკების მიზეზია სადაო საბალახო სპარსეთის ტერიტორიის ახლო. ორივე მხრით არიან მოკლულები და დაჭრილები. იპეკიდან დასავლეთის მხრით სოფელ რუგოვოში, ალბანელები თავს დაესხენ რაზმს, რომელიც მცხოვრებლებს იარაღს ყრიდა. რაზმს დამხმარე ჯარი გაუგზავნეს.

იპეკში მოიყვანეს რვა ალბანელი აფიცერი მონასტირიდან, ცელსტიდან და გესგელიდან. ისინი დაიჭირეს კონსტიტუციის წინააღმდეგ პროპაგანდისთვის.

14 აგვისტოს ოტტომანის ბანკის ახლო უცნობებმა დასჭრეს ქუჩაში მიმავალი სანდამირსკი და მისი მეგობარი ხაჯიევი. ჭრილობა საშიში არ არის. ეჭვი აქვთ სარაფოვის მომხრეებზე. მრავალი დაიჭირეს.

**რუსეთი.**

**ეკატერინოსლავი** საგუბერნიო სატუსაღოში სეირნობის დროს კატორღელებმა გაქცევა მოინდომეს. ორი გალავანზე გადავიდა. ზედამხედველებმა და მოდარაჯე სალდათებმა დროზე გაუგეს და ხელი შეუშალეს. ორი ტუსაღი მოკლეს, ერთი დასჭრეს.

**ხარკოვი.** მაკეევკის ახლოს მაღნებში ცეცხლი გაჩნდა. დაიწვა კამერა. ქვეშ დარჩა ოთხი მუშა, მოვიდა გადამრჩენი სტანცია და შეუდგა მუშაობას. დარჩენილ მუშებამდე ჯერ ვერ მიუღწევიათ.

**ვარშავა.** სახალხო განათლების სამინისტრომ ნება დართო მიღებულ იქნენ ვარშავის უნივერსიტეტში ყველა ფაკულტეტებზე, გარდა მათემატიკურისა, სემინარისტები, რომლებსაც დასრულებული აქვთ ექვსი ან ოთხი კლასი. რუსულ და ძველ ენებში და მათემატიკაში უნდა ქონდეთ 4, ერთ-ერთ ახალ ენაში 3. იმათ, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ამ პირობებს და შესვლა უნდათ უნივერსიტეტში მათემატიკურ ფაკულტეტზე უნდა მისცენ უნივერსიტეტში დამატებითი ეგზამენი. თხოვნების მიღება გაგრძელდა 31 აგვისტომდე.

**ტაშკენტი.** სამოსამართლო პალატაში გაირჩა ყოფილ ქალაქის თავის გენერალ პუტინცევის და გამგეობის სამი წევრის საქმე, რომლებმაც 1906 წელს უკანონოთ მიითვისეს 19,500 მან., საბჭოს ნებადაურთველათ. პუტინცევი გაამართლეს, დანარჩენებს საყვედური გამოუცხადეს.

**სუმში.** 14 აგვისტოს ოსჩენსკის შაქრის ქარხნის ორ კასირთან, რომლებსაც თან 27,600 მან. მიქონდათ, თავს დაესხა რამდენიმე კაცი და მოკლეს. ფულები გადარჩა. მკვლელები გაიქცენ.

**ადესა.** ამ რამდენიმე ხნის წინათ დათხოვნილი მამოქალაქო სკოლის ინსპექტორი ოტტო მივიდა სკოლაში კასის ანგარიშის ჩასაბარებლათ და ცეცხლ მოკიდებული სპიჩკა დააგდო ბენზინით დასველებულ დოკუმენტებზე, შემდეგ გაიქცა გარეთ და თავი მოიკლა. მისი მოადგილე ტიმოშკინი დაიწვა.

**ხოლერა.**

**პეტერბურგი.** დღე და ღამეში ხოლერით ავათ გახდა 23, მოკვდა 6, ავათ არის 328.

**ტვერი.** სამ დღე და ღამეში ავათ გახდა 4, მოკვდა 3.

**ნიჟეგოროდის ბაზარი.** თავიდანვე ავათ გახდა 11, მოკვდა 6, მორჩა 2.

**არხანგელსკი.** ონეგაში ისევ ავათ გახდა 2, მაზრაში ამათ გახდა 4, მოკვდა 3.

**მოგილევი.** ორშანსკის მაზრის ხუთ სოფელში ავათ გახდა 11

**პერმი.** ავათ გახდა 1.

**პეტერბურგი.** ხოლერით ავათ გახდა 20, მოკვდა 10, ავათ არის 311,

**ეკატერინბურგი.** ტიუმენში ავათ გახდა 2.

**პოლტავა.** ხორელსკის მაზრაში ავათ გახდა 2, მოკვდა 2.

**ნოვგოროდი.** ავათ გახდა 30, მოკვდა 21.

**პოლოცკი.** ავათ გახდა 14, მოკვდა 1.

**პოლტავა-** ერთ კვირაში ავათ გახდა 3 მოკვდა 2.

**კოსტრომა.** ავათ გახდა ორი, მოკვდა ერთი.

**იაროსლავლი.** ავათ გახდა 7, მოკვდა 3, რიბინსკში ავათ გახდა 5, მოკვდა 5. სულ მთელ გუბერნიაში 238, მოკვდა 123.

## საზღვარ-გარეთ

**კემედიტი.** „ნანვალკოლლერის“ კომპანიის მადაროში ზევიდან ჩამოშვების დროს ჩამოვარდა 34 მუშა, მათგან 25 მოკვდა და 15 დაიჭრა.

**ბერლინი.** ჰაეროსტატი „ცეპელინი მესამე“ ძირს დაეშვა ნიურბერგში ცილინდრის გაფუჭების გამო. შეკეთების შემდეგ ჰაეროსტატი ისევ აეშვა ზევით.

**კოპენჰაგენი.** სასტუმრო „ნაციონალ“-ში იპოვნეს მოკლული ახალგაზდა კაცი და ქალი. მათ რევოლვერით თავი მოუკლავთ. როგორც გამოირკვა მოკლული აღმოჩნდა ვიბორგის გაზეთ „ვიბორგნიგ ტერრ“-ის რედაქტორი და მისი ცოლი“.

**ბერლინი.** ვოლფის სააგენტოს დეპეშით ატყობინებენ ათინიდან, რომ მინისტრ-პრეზიდენტმა უარი უთხრა მიღებაზე არმიის და ფლოტის აფიცერთა დეპუტაციას, რომელთაც უნდოდათ პეტიციის წარდგენა. ამის გამო სატახტო ქალაქის გარნიზონის აფიცრებმა კრება გამართეს, როგორც ხმა დადის, ისინი დემონსტრაციას ამზადებენ. ამ საქმის გამო მინისტრთა საბჭომ თათბირი გამართა.

**პარიზი.** გავასის სააგენტოს დეპეშით ატყობინებენ ათინიდან, რომ მინისტრ-პრეზიდენტი რალლი სამსახურიდან გადადგა. ახალი კაბინეთის შედგენა მიენდო მიხაილისს. აფიცერთა და უნტერ-აფიცერთა ჯგუფი, გარნიზონის ერთი ნაწილითურთ ქალაქის ახლოს დაბანაკდა.

**ბუდაპეშტი.** გაიხსნა საერთაშორისო სამედიცინო კონგრესი. დაესწრო 4,000 წარმომადგენელი ყველა სახელმწიფოდან. მოვიდნენ რუსეთის ექიმებიც პეტერბურგი, მოსკოვი, ყაზანი, ვარშავი, ტომსკი და კიევიდან.

**როტტერდამი.** ხოლერიანების ბარაკში იმყოფება კიდევ 5 ავათმყოფი და 4 საეჭვო. ბურგომისტრი აფრთხილებს მცხოვრებთ არ იხმარონ მდინარის წყალი.

**სტოკჰოლმი.** მინისტრთა საბჭომ განიხილა პეტიცია ხაზეინებსა და მუშებს შორის შუამდგომლობის შესახებ. არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღიათ. ყანების მუშაობა წესიერათ სწარმოებს. რადიკალური გაზეთი „დაგენსნიეტერი“ მოუწოდებს შესწყვიტონ გაფიცვა.

**პარიზი.** ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრმა მილიერანმა ხელი მოაწერა დეკრეტს, რომლითაც უკანვე უნდა მიიღონ დათხოვნილ ფოსტის მოხელეთაგან 14 კაცი.

**ათინა.** ათინის სააგენტო იტყობინება: რალლის სამინისტრო გადადგა, რადგან ვერ დათანახმდა აფიცრების მოთხოვნაზე. შესდგა ახალი კაბინეთი: მინისტრ-პრეზიდენტი მავრო მიხალისი, დროებით სამხედრო—ტრიანტაფილაკოსი, შინაგან საქმეთა—ტოფალისი, იუსტიციის—ერტაქსისი, ფინანსთა—დამიანოს, საზღვაო—პარაგიკოტი და ზამისი სახალხო განათლების.

ფიქრობენ, რომ სამხედრო მოძრაობა დღეს გათავდება. იმედი აქვთ, რომ აფიცრები თავ თავიანთ ყაზარმებში დაბრუნდებიან. მთელ მხარეში მშვიდობიანობაა.

**პარიზი.** გავასის სააგენტოს ცნობით ათინიდან იტყობინებიან, რომ დღეს გამოცხადდება დეკრეტი მოძრაობაში მონაწილე აფიცერთა ამნისტიის შესახებ. ამის შემდეგ ჯარი ყაზარმებში დაბრუნდება.

**ბარცელონა** 15 აგვისტოს დახვრიტეს რევოლიუციონერთა ერთი ბელადი ანტონიო მოლეტი.

**სტოკჰოლმი.** შვეიცარიის მუშათა ორგანიზაციის წარმომადგენელნი შეიკრიბენ სტოკჰოლმში და დაადგინეს განაგრძონ გაფიცვა.

# უკანასკნელი ფოსტა

## სპარსეთი.

**უთანხმოება შახის ვალების გამო.** რუსეთის საელჩოში მოხდა ყოფილი შახის საქმეების ვამგე კომისიის და ბანკის წარმომადგენელის კრება. კრებაზე განხილულ იქნა კითხვა ყოფილ შახის რუსეთში წასვლის და მისი ვალების შესახებ. გამოირკვა, რომ შახის ქონება, რომელიც ბანკს აქვს დაგირავებული 282 ნახევ. მილიონ მანეთ ვალში, და რომელიც ვითომ იძლევა 400,000 სპარსულ თუმანს სარგებელს,—ტყუილი გამოდგა. ნამდვილათ კი მთელი ქონება იძლევა—60,000 სპარ. თუმანს, ასე რომ პროცენტებს კი არ ისტუმრებს. ბანკმა მოითხოვა სხვაგვარი გარანტია, მათ შორის შახის ჯამაგირი ორი წლის განმავლობაში, მაგრამ მთავრობა უარს ამბობს, რადგან შახს უკვე აღებული აქვს ხვედრი ჯამაგირიო. შახის ხელმოწერილი საბუთი ჯამაგირის აღების შესახებ არ აღმოჩნდა. რადგან სხვა საშვალება არ არსებობს, რუსეთის საელჩოს განზრახვა აქვს წინადადება მისცეს სპარსეთის მთავრობას იცნას „ცივილნი ლისტი“. თუ ვინიცობაა მთავრობა უარს განაცხადებს, მაშინ შახი რუსეთში არ წავა, თავის მამულში დასახლდება და მის დასაცველათ კაზვინის რაზმიდან 300 კაზაკს გამოიწერენ.

**ახალი გაზეთი.** თეირანში გამოვიდა გაზეთი „ახალი ირანი“. თავის გარეგნობით და შინაარსით გაზეთი სრულიათ ევროპიულია. მონაწილეობას ღებულობენ საუკეთესო ჟურნალისტები. გაზეთი მოითხოვს ყველა ძველი რეჟიმის მომხრე სახელმწიფო მოღვაწეების სპარსეთიდან გაძევებას. მოწინავე წერილი ამტკიცებს, რომ შახის ჩამოგდებით ჯერ კიდევ არ არის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილება შეცვლილი...

**რევოლიუციონური ტიპები.** „რუს. სლ.“-ს კორესპონდენტი ასე გვიხატავს სპარსეთის რევოლიუციის ზოგიერთ მეთაურებს:

ახალგაზდა ყმაწვილი. ტანზე წყლის ფერი ბლუზა აცვია. წელზე ღვედი არტყია. ფეხზე უშნო, ტალახიანი წაღები აცვია. წაღებში ჩაკრული აქვს შალვარი, მიხვრა-მოხვრა მეტათ ტლანქი. „მანერები“ სულ არ აქვს. სახის გამომეტყველება საკმაოთ ჭკვიანი და ენერგიული აქვს. პატარა, ულამაზოთ გაკრეჭილი წვერი. ჰრელი, მოციმციმე, ნამდვილი კონსპირატიული თვალები. ამბობენ რომ ის მეტათ მამაცია. ეს მან აიღო კაზვინი ერთი მუჭა რევოლიუციონერებით. მან გარეკა კაზაკები კერეჯიდან და სხვა. იმასაც ამბობენ, რომ მისი მოსყიდვა შეუძლებელია. ის მზათ არის თავი გასწიროს თავის ძმისათვის.

ეს გახლავთ „პოლიცმეისტერი“.

ყველაზე უფრო ძვირფასი მისი უანგარობაა. ეს მით უფრო ანსანიშნავია, რომ ზოგიერთ რევოლიუციონერზე მეტათ კურიოზული ხმები დადის.

თავრიზში მაგ. იყვენ ერთგვარი „პოდრიაჩიკები“. ვინმე ქირიმა, ან აშმედა მოდის სათარ-ხანთან და ეუბნება: სერდარ, მე შემიძლია მოვიყვანო პოზიციაზე ათი შეიარაღებული ფიდაი, თუ მათ რჩენას თქვენ იკისრებთ. სათარხანი თანხმდება. თვითეულ ფიდაის დღეში ორი აბაზი ეძლევა. ათ კაცს—ეს 4 მანეთი. ქიარიმა ღებულობს ყოველდღე ამ ოთხ მანეთს. ერთხელ ბარიკადების დათვალიერების დროს სათარხანმა შენიშნა რომ გზირს ჩამოსძინებია.

— რა დროს ძილია—ეკითხება სათარხანი.

— მაშ რა გნებავთ! დღეში ექვსი შაისთვის ხომ არ ვიცეკვებ კიდევ!

აღმოჩნდა, რომ ფიდაი დღეში თურმე მართლა ექვს შაის ღებულობდა, ხოლო დანარჩენ 34 შაის თვით ქიარიმა იჯიბავდა. მას თურმე არავითარი რაზმი არ ყავდა. ის ისე, დაინახავდი ვინმე უსაქმოთ მოხეტიალეს დაიქირავებდა და პოზიციაზე მიჰყავდა: ცუდათ ხეტიალს ისა სჯობია, დაიჭირე აი ეს თოფი, გაჩერდი სადარაჯოზე ოთხი საათი და ქირათ ექვს შაის მოგცემ. ისიც თანხმდება. ხშირათ მომხდარა, რომ ერთი და იგივე პირი რამდენიმეჯერ მისულა ჯამაგირის ასაღებათ, სხვა და სხვა სახელით. ასე ძარცვიდენ გამანთავისუფლებელ კომიტეტს...

ახალგაზრდა ბლუზიან „პოლიცმეისტერს“ ფიდაების ძლიერი რაზმი ახლავს. ის დადის დიდებული ეტლით, რომელშიაც საუცხოვო ცხენებია შებმული. ის ყოველგან არის: ქუჩებში, ბაზარში, ქალაქის გარეთ, სახელმწიფო დაწესებულებაში, სასახლეებში და სხვაგან. საკვირველებაა! კაცი, მთელი თავის ცხოვრებაში პოლიციას ემალებოდა, ხოლო ეხლა თვითონ—პოლიციის უფროსია. ყველა ისინი ვისიც მხედველობის ქვეშ ის იყო, ახლა მისი მხედველობის ქვეშ მოყვენ. სიმართლე მოითხოვს ვსთქვათ, რომ ბლუზიანი „პოლიცმეისტერი“ პოლიციის შესანიშნავი უფროსი გამოდგა. მთელ თეირანში საუცხოვო წესიერება და სრული სიწყნარე სუფევს. ცხოვრობ რევოლიუციონურ ქალაქში, და სრულიათ არ გრძნობ მის ქარიშხალს. ჩვენ არას დროს არ დავიჯერებდით, თუ თეირანში ასეთი წესიერება დამყარდებოდა;—წინეთ ისე ღამე არ გაივლიდა, რომ სადმე თოფების სროლა, ან რამე აყალ-მაყალი არ აეტეხათ. ეხლა კი არაფერი ამგვარი არ ხდება და დამშვიდებული ვისვენებთ—ამბობენ თეირანელები.

ეს შესანიშნავი წეს-რიგი სხვათა შორის იმით აიხსნება, რომ „ბლუზიანი პოლიცმეისტერი“ ქრთამს არ ღებულობს, და მისი პოლიცია სასტიკათ სჯის წესიერების დამრღვევთ. ქალაქი დაგავეს, დაასუფთავეს, ქუჩებს რწყავენ და კირწყლავენ.

„პოლიცმეისტერის“ კანცელარიის წინ აღმართულია სახრჩობელა, სადაც სისრულეში მოყავთ სიკვდილით განაჩენი მას და მის ხელ-ქვეითებს...

ქერა ულვაშები, ქერა წარბები. წამწამებიც კი ქერა აქვს. პირისახე თეთრი. ეს გახლავთ „არტილერისტი“ პეტრე. ეს არის ჩვენი გმირი, ჩვენი ქაჰამანი,—ამბობენ ფიდაები. პეტრე მოლანსელიკია. მას არ უყვარს ბრძოლაზე ლაპარაკი, იმ ბრძოლაზე, რომელშიაც მონაწილეობა მიუღია და დიდი გმირობაც გამოუჩენია. მას ძალიან უყვარს ლუდი. მხიარულს და მომცინარს იშვიათად ნახავთ. მუდამ ფიქრებშია გართული. ჯიბეში განუყრელათ შილლერის პატარა ტომი უძევს. ხშირათ, ლუდის გადაკვრის შემდეგ, შილლერიდან თავის ამხანაგ ფიდაებს ამა თუ იმ თავს უკითხავს დეკლამაციით და განცვიფრებაში მოყავს ისინი.

პეტრეს ყველა არტილერისტს უძახის. თვითონ ის კი თავს მექანიკს უწოდებს. პირველად სოფლის მასწავლებელი ვიყავი. როცა აქ მოვედი, ესენი მეუბნებიან: „პეტრე შენ მექანიკი ხარ—მაშასადამე, ზარბაზნებიდან შენ უნდა ისროლოო. მეც ავდექი და დავიწყე სროლა,—სთქვა ეს თუ არა, გულიანათ გადიხარხარა.

რომ პეტრე არა, რომ მისი სწრაფი და ნიშანში ამოღებული სროლა არა—ძალიან ცუდი დღე დაადგებოდა ფიდაებს თეირანის აღების დროს.

პეტრე ბალტიის მხრიდან უნდა იყვეს. ხელობით უწინ ქარგალი ყოფილა. სამშობლო მხარიდან ევროპაში წასულა „სამგზავროთ“. მოგზაურობა დიდი ხნით გაგრძელდა. მოიარა მთელი ევროპა. შეისწავლა ყველა ენებზე ლაპარაკი. იყო მექანიკათ, სოფლის მასწავლებლათ, ზეინკლათ და ვინ იცის კიდევ რათ. როცა სამშობლოში დაბრუნდა, რევოლიუცია გაჩაღებული დახვდა. დამსჯელმა რაზმმა მამა მოუკლა. პეტრე მოწყენილობამ შეიპყრო და ისევ მოგზაურობას შეუდგა. ეხლა ის აქ არის. ხოლო როცა აქ ყოველივე გათავდება და ზარბაზნების სროლაში საჭირო აღარ იქნება, ის ინდოეთში წავა, აქედან კიდევ სადმე სხვა ქვეყანაში, სადაც ზარბაზნებია და სროლა კი არ იციან......

## ოსმალეთი

**საბერძნეთ-ოსმალეთის კონფლიქტის ლიკვიდაცია.** „რ. სლ.“ ატყობინებენ, რომ დიდმა ვეზირმა და გარეშე საქმეთა მინისტრმა აცნობა ყველა ელჩებს, რომ ოსმალეთის კაბინეტი კმაყოფილია საბერძნეთის პასუხით, თუმცა და არა ისე, როგორც ეს კაბინეტს სურდაო. პორტა აღარ გაგზავნის ახალ ნოტას საბერძნეთში და აღარ გამოიწვევს ათინიდან თავის ელჩს.

**ახალგაზდა ოსმალთა კონგრესი.** სექტემბერში მოხდება ახალგაზდა ოსმალთა კონგრესი. პროვინციალური ვილაეტები ამ ჟამათ გაცხარებული ამზადებენ მასალებს მომავალი კონგრესისათვის.

**ანარხისტების დატყვევება.** გაზეთების ცნობით პოლიციამ დააპატიმრა იტალიელი ანარხისტი პიერონი, რომელიც ის იყო სტამბოლში მოვიდა. მას ეგვიპტეში გაგზავნიან.

**ახალგაზდა ოსმალთა პროტესტი.** „რ. ს.“ ატყობინებენ: მიუხედავათ მფარველი სახელმწიფოების უკანასკნელი ნოტისა, ახალგაზდა ოსმალთა ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა საბერძნეთთან ბრძოლა ბოლომდის მიიყვანოს. კომიტეტმა მოსთხოვა ხილმი-ფაშას, გამოიჩინოს დამოუკიდებლობა კრიტოსის კითხვის გადაწყვეტაში, თუ გინდა ამას ომი მოჰყვეს.

## რუსეთი

**საჩუქარი ილიოდორეს.** ცნობილ შავრაზმელ ბერ ილიოდორეს, მისმა თაყვანის მცემელმა, ვინმე ნიჟნი-გოროდის ვაჭრის ქვრივმა კაშინამ საკუთარი გემი აჩუქა.

**ლოპუხინის გაგზავნა.** ლოპუხინი ერთი მცველის და მოხუცის თანხლებით უკვე გაგზავნეს. მას თან მიყვება ცოლი და ძმა.

**ლარიჩკინის დატყვევების შესახებ.** „რეჩის“ სიტყვით, ლარიჩკინი, რომელსაც ბრალი ედება გერცენშტეინის მოკვლაში და ორი წელია, რაც იმალება, თვითონ პეტერბურგში თავის ნათესავებთან ცხოვრობდა. ეს გაუცია მის ერთ კარგ ნაცნობ მუშას, რომელსაც მაშინვე ენახავს ლარიჩკინი. ლარიჩკინს უთქვამს ნაცნობი მუშისთვის, რომ ის გასწირა ყველა თავის მეგობრებმა და მას არავითარ დახმარებას არ უწევენ. ამიტომ გადავსწყვიტე გამოვცხადდე ფინლიანდიის სასამართლოში და ყოველივე გამოვააშკარავოო.

**შრომის ჯგუფის გადაწყვეტილება.** „რუს. ვედ.“ სიტყვით, შრომის ჯგუფს გადაუწყვეტია არ წამოაყენოს პეტერბურგში დუმაში ასარჩევ დეპუტატათ თავისი საკუთარი კანდიდატი, არამედ მხარი დაუჭიროს ს. დემოკრატების კანდიდატს ნ. დ. სოკოლოვს.

**პროვოკატორული გაზეთი.** კოსტრომაში გამოდიოდა გაზეთი „რაბოჩი“. გაზეთის რედაქტორათ ვინმე მიხელ ეფრემენკო იყო. გაზეთი რამდენიმე თვის შემდეგ დაიხურა. ეხლა გამოირკვა, რომ გაზეთს ზნეობრივ მფარველობას და მატერიალურ დახმარებას უწევდა ადგილობრივი გუბერნატორი და იბეჭდებოდა საგუბერნიო სტამბაში.

## ისპანია

**რეპრესიები ისპანიაში.** „ბერ. ტაგ.“ ატყობინებენ, რომ მთავრობა განაგრძობს ბარცელონაში რეპრესიების პოლიტიკას.

საიდუმლო ჩამოხრჩობა გრძელდება. დახურეს რესპუბლიკან. მრავალი კლუბები და ეგრეთ წოდებული თავისუფალი სკოლები, სადაც სამღვთო სჯულს არ ასწავლიან.—რადიკალურ პარტიის წევრები ადმინისტრატიული წესით ქალაქიდგან გზავნიან. დაჭერილთა რიცხვი თან და თან მატულობს.

**ისპანელების გაჭირვება:** „ბირ. ტაგ.“ სიტყვით ისპანელები დიდ გაჭირვებას განიცდიან მაროკოში. კაბილებმა თითქმის ყოველ მხრიდამ მოუჭრეს გზა ისპანელებს. თუ ისევ ომი განახლდა, ისპანელები იძულებული იქნებიან წინანდელი პოზიციებიც დაიცვას, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში სანოვაგე და წყალიც კი ისპანიიდან უნდა მოიტანონ. ადგილობრივი მცხოვრებნი ჭებში წყალს წამლავენ და შიგ დამხრჩვალ ცხოველებს ყრიან. ტროპიკულმა სიცხემ და დაღლილობამ ჯარში ავათმყოფობა გაავრცელა. ეს სიძნელე შემოდგომიდამ კიდევ უფრო გაძლიერდება.

## საზღვარ-გარეთ.

**გაფიცვა შვეციაში.** „რ. ვედ.“ კორ. სწერს: ბრძოლა გრძელდება თოფ-ზარბაზნების გაუსროლელათ, მთელი ევროპის თვალწინ გრძელდება ეს „უსისხლო“ ომი შეკავშირებულ შრომის და შეკავშირებულ კაპიტალს შორის. ომი ჯერეთვე 45 მილიონი კრონი (48 კ.) უჯდის სახელმწიფოს. არც ერთი მხარე არ უთმობს ნებაყოფლობით იოტის ოდენას. ორივე მხარე მტკიცეთ განაგრძობს ბრძოლას უკანასკნელ სახსრამდე. მიუხედავათ ასეთი ომისა, სიცოცხლე სტოკჰოლმში ჩვეულებრივ მიმდინარეობს. ტრამვაის, ეტლისა და ავტომობილთა მოძრაობა თითქოს დაიწყო. გაზეთებიც თითქმის გამოდის. გემებიც მიდი-მოდის, მარა ერთი ვიკითხოთ: ვის მიჰყავს ესენი მოძრაობაში? მუშები ხომ ყველა გაფიცულია. მაშ, ვინ არიან ესენი? ტრამვაის ვაგონებზე და ეტლთა კოფოზე ვიღაც უცნობნი, ახირებულ ტანთსაცმელში გამოწყობილნი პირები მოჩანან. ეს გახლავთ „დობროვოლცები“! ლეიტენანტები, ლეიტანანტები, სამსახურიდან გადამდგარი ფლოტის აფიცრები, მოხელეები, ინჟინერები, [illegible] განცვიფრებას, [illegible] დირექტორები. ამ უკანასკნელ [illegible] დღის [illegible] დაყავდათ ტრამვაის ვაგონი. არიან ისეთი ბარონები, რომლებიც თავის საკუთარი ცხენებით, ოფიციალურ ნორმიანი ეტლით, რამდენიმე დღის განმავლობაში მეეტლის მოვალეობას ასრულებდა.

ასეთია „პუბლიკის“ ნაწილის დამოკიდებულება გაფიცვისდამი. „მრეწველთა კავშირის“ წევრნი ხომ კიდევ უფრო შეუდრეკელნი არიან. ისინი ყოველგან და ყოველთვის ერთს და იმავეს იმეორებენ: „არ დაუთმობთ... რათაც უნდა დაგვიჯდეს, ბოლომდის მივიყვანთ, მართალია, ლოკაუტისათვის გადადებული რვა მილიონი კრონი უკვე დაიხარჯა, მარა ჩვენ უკვე მოველაპარაკეთ შვეციის სამ ბანკს, სადაც 12 მილიონი კრონის კრედიტი გაგვიხსნეს. თუ საქმე გაჭირდა, რამდენიც საჭირო იქნება, იმდენს გამოვიტანთ და სხვა“... მრეწველთა კავშირის ჟინიანობა იქამდის მიდის, რომ კაროლის მიერ საშუამდგომლოთ გამოგზავნილმა ოფიციალურმა პირმაც კი ვერაფერი გამოიტანა მათგან.

მუშათა ბანაკში კი უკვე იჩინა თავი შიმშილობამ. აქა-იქ მადაროებში უკვე დაიწყეს მუშაობა მოხუცებმა და ბავშებმა, რომ თავის მუშაობით ცოტათი მაინც შეუმსუბუქონ ოჯახს გაჭირვება... ბევრ ადგილას მეთევზეები ნისიათ აძლევენ თევზებს გაფიცულებს, რადგან სასყიდელი ფული აღარ არის. შვეციის კოოპერატივებმა თითქმის მთელი სტოკჰოლმი მოფინეს უფასო ფურნეებით, რომლებსაც მრავალი ხალხი აწყდება პურისთვის. მუშათა კასები თითქმის გამოიცალა, ნორვეგიიდან, დანიიდან, გერმანიიდან და ავსტრიიდან გამოგზავნილი დახმარება არც ისე დიდია, რომ დიდხანს ეყოს ასი ათასობით გაფიცულებს. დიდი იმედი აქვთ გაფიცვის უმთავრესი კომიტეტის წევრის ტოლონის ამერიკაში მოგზაურობისა. ხმები დადის, რომ ტოლონს ამერიკიდან ოთხი მილიონი კრონი დახმარება მოაქვსო, მიუხედავათ ასეთი მდგომარეობისა, მუშების სულიერი განწყობილება საუცხოვოა. მრავალ რიცხოვან მიტინგებზე ენტუზიაზმით ღსავსე რეზოლიუციებს იღებენ. საერთო გაფიცვის სასურველათ გაგრძელებას, დიდი ზნეობრივი ზარალი მოუტანა რკინის გზის მოსამსახურეთა რეფერენდუმმა, რომლებმაც უარი განაცხადეს გაფიცვაზე. რკინის გზის მოსამსახურეთა ასეთმა გადაწყვეტილებამ მუშათა ბანაკში დიდი მითქმ-მოთქმა და მწუხარება გამოიწვია, ხოლო მრეწველთა ბანაკში—ალტაცება და სიხარული. რკინის გზის მოსამსახურეთა ასეთი გადაწყვეტილებით გათამამებულმა გემთა მიმოსვლის აქციონერულმა საზოგადოებამ მაშინვე ულტიმატური წინადადება მისცა გემებზე მომუშავეებს: ვინც 18 აგვისტოს, სამ საათზე არ დაადგება სამუშაოს—სამუდამოთ სამუშაოდან დათხოვნილ იქნებაო.

ამ დღეებში სტოკჰოლმში უნდა მომხდარიყო სამშვიდობო კონგრესი. კონგრესი გადაიდვა მომავალი წლისათვის. მიზეზათ ის დაასახელეს, ვითომ ბევრ დელეგატს უარი განეცხადებიოს მისვლაზე გაფიცვის გამო. ჩვენ სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ კონგრესის გადადების მიზეზი ეს კი არ არის, არამედ კაროლის პირადი სურვილი. კაროლს განუცხადებია: ჩვენ არ ვიცით რით გათავდება ეს ბრძოლა. შეუძლებელია სამშვიდობო კონფერენციის მოწვევა იქ, სადაც სასტიკი ომია პურისთვის; მოსალოდნელია მუშებმა კონგრესის წინააღმდეგ დემონსტრაცია მოახდინონ, რასაც შეიძლება კონგრესის საქმეში ჩარევაც მოჰყვესო. უცხოეთის გაზეთები იუწყებიან, რომ რკინის გზის მოსამსახურეთა შორის უმეტესობა გაფიცვის მსურველი იყო, მაგრამ მათი რიცხვი ორ მესამედ პროც. მდე მაინც არ ავიდა. წესდების ძალით კი სწორეთ ორი მესამედია საჭირო ასეთ შემთხვევებშიო. ბანკების და მსხვილი სამრეწველო ფირმების პატრონებს თხოვნით მიუმართავთ კაროლისთვის, ჩაერიოს საქმეში და იკისროს შუამდგომლობა საქმის მორიგებით გასათავებლათ, რადგან შვეციას არ ძალუძს აიტანოს ის ზარალი, რომელსაც მას ყოველდღე გაფიცვა აყენებს.

ზოგიერთი გაზეთების ცნობით, მთავრობას კიდეც გადაუდგამს ამ მხრით ნაბიჯი. შუამდგომლობის პეტიცია გადასცეს მთავრობას აგრეთვე შვეციის ქალებმა.

# წერილები პარიზიდან

(საკუთარი კორესპონდენტისაგან).

ჩემს წერილში საფრანგეთის სამინისტროს ცვლილების შესახებ მე დავტოვე უპასუხოთ ერთი კითხვა, საჭიროა დავუბრუნდეთ მას. რას მოასწავებს, რომ პრემიერის სავარძელზე წამოსკუპდა არისტიდი ბრიანი, ეს შეურიგებელი, ოდესმე, სოციალისტი და საერთო გაფიცვის მოციქული? რადით დასჭირდა აქაურ რადიკალობას, რომელიც ბატონია პალატაში, გარეშე პირი და ისიც რენეგატი? განა არ შეეძლო მას თავის საკუთარ წრიდან აერჩია მთავრობის მეთაური?

ყოველ პარლამენტარულ ქვეყანაში არსებული უმრავლესობა კისრულობს ხოლმე კაბინეტის თავის წრიდან შედგენას და აქედან სრულ პასუხისმგებლობას მართვა-გამგეობაში. დემოკრატიულ საფრანგეთში კი ირღვევა ეს ძირითადი წესი, ეს ფაქტი ფრიად საგულისხმოა და დამახასიათებელი. სამინისტროს კრიზისის დროს რადიკალობა თითქო აპატიას ეძლევა, მას აზრშიდაც არ მოსდის ხელი ჩასჭიდოს სახელმწიფოს საჭეს. ეს ღირსშესანიშნავი ფაქტი ნათლათ ამტკიცებს იმას, რომ საფრანგეთის რადიკალობა დაყოლია თავდაღმართს; მას ვერც კი მოუსწრია გადაფურჩქვნა და უმალ დაჭკნობისკენ უქნია პირი. რადიკალობას აღარ შესწევს გამბედაობა და გამჭრიახობა იკისროს მართვა-გამგეობის პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე, განა ეს არაა საკმაო საბუთი მისი მობერებისა და ქვევით დაქანებისა? დიახაც რომ არის, თუ გინდ ხვალვე იკისროს მან ეს მისსია.

კლემანსოს დიქტატურაც მჭერმეტყველი საბუთი იყო იმისი, რაც ზევით ითქვა. სწორეთ რადიკალობის სილაჩრე და უილაჯობა დაედვა საფუძვლათ ერთი პირის თავაშვებულობას. „ვისაც არ ძალუძს ბატონობა, მან სხვას უნდა დაემორჩილოს“ — თქვა კიდევ ნიცშემ!

აღსანიშნავია და ხაზ გასასმი საფრანგეთის თანამედროვე ხანა. სულ ოთხი წელია, რაც სახელმწიფოს მართვა-გამგეობას სათავეში უდგას ბურჟუაზიის მემარცხენე პარტიები. მათ ქონდათ საკუთარი სამოქმედო პროგრამა, რომელიც შესრულებულია თითქმის ნახევრათ. რაც შეეხება მეორე ნახევარს, ისინი ვეღარ ბედვენ მის განხორციელებას, ვინაიდან ეს უქადის მათ მასის უძლეველ შემოჭრას მართვა-გამგეობაში, რაც მოასწავებს თვით თანამედროვე წყობილების ძირიანფესვიანათ შერყევას. უკვე სადღეისოთ შეიძლება ჩაითვალოს საფრანგეთის დემოკრატიზაციის ორი დიდი საკითხი: საპარლამენტო საყოველთაო არჩევნების პროპორციონალურათ მოწყობა და სახელმწიფოს სრული დეცენტრალიზაცია, ან ცალკე დეპარტამენტ-კომუნებზე რაც შეიძლება ფართე თვითმართველურ უფლება-მოვალეობათა მინიჭება. ეს ორი მუხლი რადიკალებს და მათ მონათესავე პარტიებს წინეთ სააგიტაციო მასალათ გამოქონდათ, ახლა კი პირში ბურთს იჩრიან.

როცა რომელიმე საკითხი მომწიფებულია გადასაჭრელათ, მაშინ გაბატონებული პარტია იძულებულია იკისროს ეს მისსია, ან, თუ ეს არ შეუძლია, გზა სხვას დაუთმოს. სწორეთ ასეთ ალტერნატივს უსვამს აქაურ რადიკალებს ცხოვრება. გაისათ არჩევნები უნდა მოხდეს: ეს კი იმას ნიშნავს, რომ რადიკალობას ხიფათი მოელის, თუ მან არ იკისრა ხსენებულ კითხვების გადაჭრა. მაგრამ, მეორეს მხრით, არა ნაკლებ სახიფათოა მისთვის დემოკრატიზაცია. რა უნდა ქნას მან ამ პირობებში? ის ეძლევა უმოქმედო სასოწარკვეთილებას და თავს სტიქიურ მსვლელობას ანდობს.

მაგრამ თუ რადიკალობამ დრო მოსჭამა და ადგილი სხვას უნდა დაუთმოს, ვინლაა ეს „სხვა“?—აი თავსატეხი და უმწვერვალესათ მნიშვნელოვანი კითხვა. თუ მივიღებთ სახეში მესამე რესპუბლიკის ისტორიას, სასწორმა თითქო მარცხნივ უნდა გადაიხაროს, ე. ი. რადიკალების უფრო მემარცხენეთ ან სოციალისტებს უნდა დარჩეთ ბურთი და მოედანი. მართლაც და ამის ნიშნები ბევრია, პირველ შეხედვით მაინც რადიკალობა შესდგება სამ პარტიისაგან: რადიკალები, რადიკალ-სოციალისტები და დამოუკიდებელი სოციალისტები. როგორც ხედავთ, უკანასკნელ ორ პარტიას, მიუხედავათ მათი წმინდა ბურჟუაზიულ ხასიათისა, სოციალისტობაც თავისთვის დაუჩემებიათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღევანდელ საფრანგეთში ბურჟუაზიულ პარტიებსაც ვერ მოუხერხებიათ ისე ბოგინი, თუ მათ სოციალისტის იარლიკიც არ მიიკრეს შუბლზე. ამას გარდა, უკანასნელ ხნის დამატებითი არჩევნებზე რადიკალობამ დაჰკარგა მთელი 8 მანდატი სოციალისტების სასარგებლოთ. თუ კლემანსოს სამინისტრო იძულებული შეიქნა მოეწვია ორი ყოფილი სოციალისტი, დღევანდელში შევიდა მესამეც და ერთი მათგანი პრემიერად იქცა! როგორც ხედავთ, თითქო ჰერზე ქუდის აგდება გვართებს, რადგან ისარი მარცხნივ, სოციალისტებისკენ იხრება.

მაშასადამე, საქმე ამგვარათაა: რადიკალობა კანკალებს, რადგან განკითხვის დღე მოახლოვებულია. იგი მორჩილათ ითმენს ბრიანის მის ბეჭებზე წამოსკუპებას, ვინძლო არჩევანებს უვნებლათ გადავაბიჯოვო; ის ფარად იხდის სოციალიზმის ნიჭიერ, მაგრამ ორგულ ადეპტებს, რადგან საკუთარი ფარი დახავსდა. ბრიანის სამინისტროც თვალთმაქცობს ჯერ-ჯერობით, იგი შეთანხმების პოლიტიკას ეწევა, მისი აზრით. სიმიანი, მეფოსტეთა „მჭამელი“ არაა სამინისტროში, მილიერანმა უკვე მიიღო უკან ასზე მეტი გამორიცხული მეფოსტე, დანარჩენთაც ამასვე პირდება; გაანთავისუფლეს რამდენიმე პოლიტიკური ტუსაღი და სხ. სამინისტრო ცდილობს რადიკალობის პრესტიჟი აწიოს, სოციალისტთა მეგობრათ მოაჩვენოს თავი ქვეყანას...

სწორეთ ამ ნიადაგზე აღმოცენდა უთანხმოება სოციალისტურ ფრაქციაში, პალატაში. უმრავლესობა, ე. ი. ჟორესისტები იმედებით შესცქერიან მომავალს და ამიტომ სამინისტროს უნდობლობას არ უცხადებენ წინდაწინვე. უმცირესობა ანუ გედისტები არ იზიარებენ ამ იმედებს და იმიტომ შავი კენჭით ეგებებიან „კონსილიასიონის“ ერას. რომელია მართალი ამათში, ადვილი გამოსაცნობია. ბრიანმა აშკარათ გამოთქვა, რომ ის განაგრძობს კლემანსოს პოლიტიკას საერთოთ, მაშ მასი „შეთანხმებაც“ მხოლოდ ფანდი იყო. მაგალითათ, მეფოსტეთა მიღება მას ეჭირვება არჩევნების დროისთვის, რადგან გულგატეხილი თითქმის ერთი მილიონი მოხელე-ამრჩევი დიდათ სახიფათოა მთავრობასა და მის უმრავლესობისათვის. მაშასადამე საჭირო იყო პირდაპირ უნდობლობის გამოცხადება. ეს მით უფრო საჭირო იყო ბრიან-ვივიან-მილიერანის წინაამდეგ, რადგან ამით ერთხელ კიდევ გაესმობოდა ხაზი იმას, რომ პარტიას არაფერი საერთო არა აქვს რენეგატებთან.

ა. ჩ.

# ახალი ამბები

**ეგ. ნინოშვილის ძეგლის გამო.** პარიზიდან ჩვენ მივიღეთ ფოტოგრაფიული სურათი ეგნატე ნინოშვილის ძეგლის პროექტისა, რომელიც შეუმუშავებია მექანდაკე იაკობ ნიკოლაძეს. ნინოშვილი წარმოდგენილია ავათმყოფათ, წამომჯდარი და ბალიშზე მიწოლილი. ხელში უჭირავს ქაღალდი და კალამი, თითონ ჩაფიქრებულია; იმ ადგილას, სადაც ფეხები იგულისხმება, გადაფენილია დანაოჭებული საბანი. ბ. ნიკოლაძე, როგორც გვწერენ, აპირობს თურმე დიდი ბიუსტის გაკეთებას, ჯერ რასაკვირველია, თიხისას.

**ფეფელოვის ვაჟის გამტაცებელთა შეპყრობა.** პოლიციამ ამ დღეებში ცნობა მიიღო, რომ ფეფელოვის შვილის გამტაცებელ ჯგუფის ბელადი ალექსანდრე ივანეს ძე კაციაშვილი, რომელსაც მეტ სახელათ „დროხას“ ეძახიან, იმალება ოლღას ქუჩაზე, სახ. № 42. ხსენებულ სახლს პოლიციამ თვალ-ყურის დევნება დაუწყო და 15 აგვისტოს ღამის 10 საათზე ხსენებული სახლის ერთ-ერთ დუქანში დააპატიმრა ზემოხსენებული კაციაშვილი, რომელიც გორის მაზრის ს. კავთისხევის მცხოვრების—ანდრია ზაქარიას ძე მანდროკელაშვილის გვარით ცხოვრობდა, რომლის სახელზედაც გაღებული იყო ხსენებული დუქანი, სადაც კაციაშვილი ვაჭრობდა. კაციაშვილთან ერთათ დუქანში დააპატიმრეს უცნობი პირი, რომელმაც რაჭის მაზრის ს. ბარეულის მცხოვრების დავით იოსების ძე ომიაძის პასპორტი წარადგინა, ნამდვილათ კი დაპატიმრებული აღმოჩნდა თფილისის მცხოვრები იოსებ მიხეილის ძე სულხანოვი. სულხანოვის მამის ბინაზე პეტროვის ქუჩაზე 1906 წ. ყუმბარების საწყობი აღმოაჩინეს (370 ყუმბარა აღმოაჩინეს), რისთვისაც დაპატიმრებულ სულხანოვის მამას კატორღაში გაგზავნა მიუსაჯეს. როგორც პოლიციის ოქმშია აღნიშნული, დაპატიმრებულ სულხანოვს ბრალათ ედება ამა წლის თებერვალში პეტროვის და ბელინსკის ქუჩების კუთხეში ორი მოდარაჯე ჯარის კაცთა—პ. სემენოვის და სმ. გორბაჩოვის მოკვლა, ვაჭრის აივაზოვის და ფეფელოვის შვილის მოტაცებაში მონაწილეობის მიღება. დაპატიმრების დროს სულხანოვს განუცხადებია, რომ მე ანტონოვის ქუჩ. № 11 სახლში ვცხოვრობდიო; პოლიციას შეუმოწმებია ეს, მარა აღმოჩნდა რომ იქ მას არასოდეს არ უცხოვრია. იქ მცხოვრები აღმოჩნდა დავით იოსების ძე ომიაძე, 22 წლისა, ხელობით ზეინკალი, რომელიც დააპატიმრეს. მისი პასპორტი გაცემულია რაჭის მაზრის ბარეულის სასოფლო სამმართველოდან (№ 230). სულხანოვის მიერ წარდგენილი პასპორტი—დავით იოსებისძე ომიაძის სახელზე გაცემულია აგრეთვე რაჭის მაზრის ს. ბარეულის მამასახლისის მიერ (№ 118). დაპატიმრებულის ვინაობის გასაგებათ მიღებულია ზომები.

**ნებადართული პიესები.** რედაქციამ მიიღო ნება დართული პიესების სია ქართულ, სომხურ და თათრულ ენებზე. წიგნი გამოცემულია თფილისის საცენზურო კომიტეტის წევრის ბ. ივ. პოლუმორდვინოვის მიერ და შეიცავს ყველა ნება დართულ პიესებს ხსენებულ ენებზე, რომელიც წარმოსადგენათ მთავრობას ნება დაურთავს ამ წლის 1 მაისამდე. ეჭვი არაა, ამ ოფიციალური წიგნის საშვალებით ბოლო მოეღება იმ უთანხმოებას, რომელიც ხშირათ ხდებოდა პროვინციებში ადგილობრივ ადმინისტრაციასა და წარმოდგენების ინიციატორთა შორის. წიგნი სუფთა გამოცემაა, შეიცავს 64 გვერდს და ღირს 50 კაპ. ქართულ ენაზე ნება დართული ყოფილა 560 ორიგინალური თუ ნათარგმნი პიესა.

**ჩხრეკის დროს** 14 აგვისტოს მესამე საპოლიციო უბანში დააპატიმრეს 29 უპასპორტო, მეცხრეში—12; 16 აგვისტოს ერევნის მოედანზე დააპატიმრეს 16 უპასპორტო. ყველანი საპოლიციო სამმართველოებში დაგზავნეს ვინაობის გასაგებათ.

**რევიზია.** ამ ახლო ხანში პეტერბურგიდან თფილისში ჩამოვა გადასახადთა დეპარტამენტის საგანგებო მოხელე, რომელიც რევიზიას გაუკეთებს თფილისის გუბერნიის ხარჯების ამკრებ ყველა ინსპექტორებს და აგრეთვე იმ დაწესებულებებს, რომლებიც კანონის ძალით ვალდებულნი არიან საერობო გადასახადის წესები აასრულონ.

**თათბირი ერობის შესახებ.** წარსულ პარასკევს ა. ფიშერის თავმჯდომარეობით შესდგა მეორე საფინანსო საერობო სექციის სხდომა. სხდომა შეეხო მომავალი ერობის შემოსავალ-გასავალის აღრიცხვას. ა. ფიშერმა მოხსენება გააკეთა იმის შესახებ, თუ რამდენი შემოსავალი ექნება წლიურათ ქ. ტფილისს ცალკე საერობო ერთეულათ რომ გამოიყოს. მისი გამოანგარიშებით წლიური შემოსავალი 350,000 მან. იქნება, რომლიდანაც საგუბერნიო ერობის სასარგებლოთ უნდა გადაიდოს ერთი მესამედი. საერობო ორგანოს შესანახათ კი, 8—9 პროცენტი და სხ. ხსენებული საკითხის გარშემო ბევრი იკამათეს, დაბოლოს კითხვა, ყოველ მხრივ შესამუშავებლათ, გადაეცა ამავე სექციის მცირე სექციას, რომელმაც მოხსენება შემდეგ სხდომაზე უნდა წარადგინოს.

**საგლეხო ბანკის მოქმედება.** საგლეხო ბენკის განყოფილება გაიხსნა თფილისში 1906 წელს 15 თებერვალს. დღემდე ბანკს შეუძენია 75 მამული, ზომით 48932,6 დესიატინა, ღირებული 2,669,434 მან. 86 ხელშეკრულობის სრული ლიკვიდაცია მოხდარა—25,283 დესიატინა მიწის, ღირებული—1,263,527 მან. სესხათ გაუცია ბანკს გლეხებზე 109 პირზე და დაუგირავებია ბანკს 26,848 დესიატიანა მიწა, ღირებული 1,236,523 მან. (სესხი არის 1,011,870 მან.). 84 ხელშეკრულობის ძალით გლეხებს შეუძენიათ 25,289,9 დესიატინა მიწა ღირებული 1,263,239 მ. (სესხი 1,137,690 მან) ამათში ნაღდათ აუღია ბანკს 3,1 დესიატინა მიწის ფასი 377 მან. 65 ყველა ხელშეკრულებანი, გარდა ერთისა, რომელიც დასდეს ბანკთან კიევის გუბერნიიდან გადმოსახლებულებმა, ადგილობრივ გლეხებმა დასდეს. („თ. ფ.“).

**გადასახლებულთა შეპყრობა.** 15 აგვისტოს დააპატიმრეს საგენერალ-გუბერნატოროს საზღვრებიდან გადასახლებული მიხეილ ლაზარიანცი, გრიგოლ კრივოშეევი და ჩატო კაკო ოღლი.

**დაპატიმრება.** 14 აგვისტოს დააპატიმრეს სენაკის მაზრის მცხოვრები იგუა გულაძე, რომელსაც პოლიცია ბრალს სდებს სხვადასხვა ბოროტ-მოქმედებაში. იმავე დღეს კოჯრის გზაზე დააპატიმრეს პეტრე პერუაშვილი, რომელიც 10 აგვისტოს „გოროდოვოის“ გაექცა, როცა ის მეტეხის ციხეში მიჰყავდა.

**„ბრაუნინგი“.** 14 აგვისტოს ჩხრეკის დროს დააპატიმრეს თფილისის მოქალაქე გიორგი მიხეილის ძე ნანუაშვილი, რომელსაც გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდა უნებართვოთ „ბრაუნინგის“ სისტემის რევოლვერი.

**სევერიანე ჯუღელის ოჯახობის** სასარგებლოთ რედაქციამ მიიღო ენფიაჯიანცის თამბაქოს ქარხნის მუშების ერთ ნაწილში შეგროვილი 10 მ. 20 კ., რომელიც დანიშნულებისამებრ გადაეცა.

**გვთხოვენ დავბეჭდოთ:** „1-ლ მაისს კეროსინოპროვოდის მუშა-ხელოსნებმა უმუშევრების სასარგებლოთ გადასდეს ნახევარი დღის ჯამაგირი სულ 13 მ. 90 კ., რაიც დანიშნულებისამებრ გადაეცა. სია: გ. ვაშაკიძე 45 კ., ვ. ვაშაკიძე 95 კ., მ. ბელიძე 93 კ., დ. ჩიტაიშვილი 40 კ., Петръ Корягинъ 93 к., М. Сладковъ 55 к., სპ. გოგოლაძე 40 კ., მ. გარიჯოვი 80 კ., ლ. რუხაძე 80 კ., ის. საკანდელიძე 50 კ., გვატისმათა 45 კ., ამვროსი ებანოიძე 50 კ., არ. დევაძე 80 კ., ირ. კუხიანიძე 80 კ., ა. გელაშვილი 50 კ., ვ. ელისაშვილი 45 კ., გ. ჯღენტი 45 კ., Θеодоръ Коновъ 50 к., П. Шостакъ 90 к., Ив. Журавлевъ 55 к., В. Диминтіевскій 40 к., ზ. ხუბულური 35 კ., პ. კორკოტაძე 54 კ.

# სევერიანეს ხსოვნას.

ნუ თუ ბუნებამ თავის კანონს გადაუხვია და მისგანვე ნაძღვნევ სიცოცხლეს გამოსალმა ჯერედ ძალღონით, სურვილწადილით ალსავსე გული?!

ეს ხომ უკანონობაა, უბუნებო დაუჯერებელი!.. მაგრამ ვაი რომ მწარე სინამდვილე თავს დამტრიალებს და ყურს ჩამჩურჩულებს: „დამარხეს, დაიჯერე“.

არა, არა, ის არ მომკვდარა, რწმენის ბეჭდით სახე მღიმარ სიცილით, ის განუშორებლივ ჩემთან არის. მაგრამ... თუ ის ცოცხალია და არ მომკვდარა ვიღას დასტირიან, ვის დაჰკვითინებენ, ვის უძღვნიან ყვავილთ გვირგვინებს?! უხმოთ, უსიტყვოთ, სახე კუშტად გამომზირალი ამხანაგობა ვის საფლავზე დებს ფიცს და აღთქმასა!..

ეგებ ვცდებოდე, ეგებ ყველა ეს ნაყოფია ტანჯვა-წვალებით ნაგვემი სულის და... ცოცხალია?! ვაიმე ბედკრულს, ამაოდ ვცდილობ გულის და გრძნობის მოტყუებასა. ის დამარხეს მას დასტირიან შრომისა შვილნი და ამხანაგები.

ზარი დიდია. ერთისა ენას ვერ ძალუძს ერთის რწმენით გამსჭვალული ხალხის სულის კვეთების გადმოცემა. და აკი რომ იგივ ხალხის ზღვა, უხმოთ-უსიტყვოთ მეტათ ღაღადებს ვიდრე ვისიმე სიტყვა-კალამი. ვაი მას, ვინც ხალხის სიჩუმეში ვერ კითხულობს მის გულის თქმასა. ეკლესიამდე ძვირფას ტვირთის ზიდვა ჩვენ გვსურსო, ქალთა კრება აცხადებს, რიგსა და წესსა ყველა თავისით ემორჩილება. ერთგან კია ისიც უფლების დამსაკუთრებელი წესსა და რიგს, გადაუხვიეს, გვირგვინთ წარწერებს ხსნიან— „არ იქნებაო“ ბრძანებენ „დღეს გმორჩილდებიო“ უპასუხებს ხალხის ხმა. ყველა ეს როდის იყო? დაასაფლავეს, მაგრამ... ისინი ხომ არა კვდებიან, ისინი ხომ თავიანთ ნამოქმედართან ერთათ მადლიერი ხალხის გულში სცოცხლობენ და უკვდავ არიან!?. არა ის, არ მომკვდარა. მე მას ვხედავ, ვხედავ გონების თვალით ის მუდამ ჩემთან არის და გულს იტყვევებს, სულს იმონებს მისი სახე, მისი ლაპარაკი.

აი ახლაც, ამ წუთს, რწმენის ბეჭდით სახე ალბეჭდილი, ცეცხლის მფრქვევ თვალებით ის სდგას ტანჯულ ხალხთ შორის და გულს უნერგავს ახლო მომავლის გამარჯვებასა. კვლავ ვხედავ საერთო საქმით დროებით დაღლილს, მალვით, ფარულათ დასასვენებლათ თავის ცოლშვილთან მოიპარება და მათთან ერთათ იზიარებს საერთო მხიარულებას. აგერა მისი მარგარიტა, ნორა და სონა მტრედის ხუნდსავით გულს დაჰხვევიან და თავიანთებურის ბავშური ტიტინით, ხიზილენ და იყოლიებენ.

ვხედავ დარდ-ნაღვლიანსაც, უს— არის შორის დროს მოგონებიდან, როდესაც იგი დღის და ღამის გაყრისას, ქალაქ გარეთ სეირნობის დროს—თვით ტოლსწორთ დაშორებულ მოძმის საფლავს უცაბედათ წააწყდა. შესდგა... გაჩერდა, და ჯერეთ ისევ ფხვიერ საფლავს დაუკორდებელს დააშტერდა.

წყვდიადი ნთქავს გარემოს და ამ წყვდიადს ერთვის ბორკილთ ჟღარუნი, ის კი უძრავათ ისევ ერთ წერტილს დაშტერებია, მწარ კაეშანს მოუცავს მისი არსება, გმინვა მოსწყვიტა ნაღველმა მწარემ და ობოლ საფლავს ცრემლათ დაეცა.

„ვფიცავ შენ საფლავს, ძვირფასო ძმავ, აღვზრდი ვაცოცხლებ შენს იდეალსო“! ეს და სთქვა გულჩათუთქულმა და მოშორდა საფლავს ობლათ რჩენილსა. კვლავ ვხედავ ტანჯულ ხალხთ შორის შრომით ულლელს, რწმენა იმედით აღსავსე სახით მომცინარასა და მოღიმარსა.

ესრეთის სახით უტკბესო ძმაო სევერიანე, დღე მუდამ ავგაროზ ხატათ გულს მესვენები და ყოველ ჩემს სახალხო მოქმედებაში დროშა-ემბლებათ შენ დაგისახავ.

სანდრო.

# ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა კრება

(წერილი ქუთაისიდან)

ამ დღეებში გუბერნატორმა სამეურნეო ამხანაგობა „კოლხიდა“-ს და „მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობათა“ გამგეობას ნება დართო მოიწვიონ ქუთაისში კვირას, 23 აგვისტოს მეაბრეშუმეთა, მეთესლეთა და პარკის მყიდველ-გამყიდველთა კრება.

კრებაზე განსახილველი საგნები იქნება: 1) როგორ უნდა უზრუნველჰყოთ მეაბრეშუმეები სადი აბრეშუმის თესლით; 2) მოვლა-გაშენების საქმე გუბერნიაში და როგორ უნდა გამოიკვებოს აბრეშუმის ჭია განივრული წესით; 3) როგორი კონტროლია საჭირო საზღვარგარეთიდან შემოტანილ და აქ დამზადებულ აბრეშუმის თესლზე; 4) როგორ უნდა მოეწყოს პარკის და საზოგადოთ აბრეშუმის ნაწარმოების გასაღების საქმე.

მეაბრეშუმეობას დღეს იმერეთის სასოფლო-სამეურნეო მეურნეობაში პირველი ადგილი უჭირავს. დღემდის თუ მევენახეობა, რომლის ბაზარი ისევ იმერეთი იყო, ერთი საუკეთესო საშუალებათაგანი იყო იმერელ მეურნისა, დღეს თუმცა ფილოქსერისაგან ამ ათი-თხუთმეტი წლის წინათ მოშლილი ვენახი ამერიკული ვაზის საშუალებით ისევ გამობრუნდა, მარა ეს დარგი მეურნეობისა იმდენათ ხელსაყრელი არ არის იმერელი გლეხისათვის, რომლის მიწა-წყალი 3—4 ქცევას არ აღემატება და მაშასადამე, მსხვილ მეურნეობას ვერ მოეკიდებია, როგორც საწარმოებლათ უფრო საიდო ხელწამოსაკრავი დარგი მეურნეობისა—მეაბრეშუმეობაა. ამიტომ არც საკვირველია, რომ ამ უკანასკნელ ხანებში მეაბრეშუმეობა ასე ფართოთ გავრცელდა იმერეთში, თუმცა მკვიდრათ ამ საქმის საფუძვლის ჩაყრას იგი დღემდი ვერ ეღირსა და უმთავრესი მიზეზი ამისა, ჩვენის აზრით ისაა, რომ თავიდანვე ამ საქმეს საქმის უცოდინარნი, არა-სპეციალისტები, მხოლოდ და მარტო ვაჭრულ-ჩარჩული, მოგების ინტერესით აღჭურვილ-გაყიდენთილ პიონერები აუგვიატენ, დაიწყეს ხალხში არასაიმედო თესლების გავრცელება და შემდეგ მათი ნაშრომ-ნაღვაწის ათასნაირ მოტყუილებით გამოცინცვლა.

ერთი სიტყვით, რაკი ვაჭარ-ჩარჩებმა შეატყვეს, რომ ეს დარგი მეურნეობისა ვრცელდება, სახალხო ხასიათს ღებულობს, მათაც მიაშურეს სოფლებს, სადაც უფრო ადვილი მოსატყუებელია ბეჩავი მშრომელი გლეხი და იწყეს მისი ნაშრომის ამა თუ იმ საშუალებით გამოტყუილება. ამნაირათ, ამგვარ ჩარჩების საშუალებით მეაბრეშუმეობა, ეს ყველაზე სათუთო დარგი მეურნეობისა სხვებსავით თავიდანვე ჩავარდა არა-ნორმალურ წარმოების და გასაღების პირობებში.

ამ არა ნორმალურ პირობებს მეაბრეშუმეობის წარმოებაში ებრძვის ეს 10—15 წელიწადია იმერეთში არსებული ორი სახალხო სამეურნეო კულტურული დაწესებულება „მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა“, რომელიც ერთ საუკეთესო საააბრეშუმე, ხონის რაიონში მოქმედობს და მეორე, ქუთაისის სამეურნეო ამხ. „კოლხიდა“, რომლის პროგრამმა უფრო

ფართეა, მთელი მეურნეობის მოწესრიგებას ეხება. ამ მიზანს ეს მეორე ნორჩი ამხანაგობა თავის საშუალების დაგვარათ ძლიერ მხნეთ ემსახურება და საზოგადოებრივი ძალები რომ ასე მოდუნებული არ იყოს, ხსენებულ ამხანაგობას შესამჩნევი დახმარება შეეძლო გაეწია მთელი გუბერნიის მეურნეობისათვის, მაგრა ამ სახელით, სასოფლო საქმეზე ქუთათურები ნაკლებათ იტკივებენ თავს და ამიტომ ხსენებული ამხანაგობებს თავიანთი პროგრამის განხორციელება ხელმოკლეობის გამო ვერ მოუხერხებიათ, ერთ წერტილზე დგანან, თავიანთი მოქმედება ვერ გაუფართოვებიათ.

ამხ. „კოლხიდა“ თავის დანიშნულებას მაინც არ ღალატობს, იგი თვისი ძალების და საშუალების შესაფერისათ, მოქმედებას განაგრძობს და სამეწველო მეურნეობის სხვა და სხვა დარგების დახმარებისაკენ მოუწოდებს ხალხს და სიტყვით მათ გულშემატკივრებს. მან შარშან შორაპნის მაზრაში, უგიერიდაში მოუწოდა მევენახეთ და მეღვინეებს ნებადართულ კრებაზე, რომელზედაც მრავალი ხალხი და სპეციალისტები დაესწრნენ, გამოიმუშავეს ზომები, საშუალებები თუ როგორ აღორძინონ ეს დარგი მეურნეობისა და როგორ მოუპოვონ ბაზარი იმერულ ნაზ ღვინოებს. მართალია, მეურნეთა შარშანდელ თავყრილობას პრაქტიკული შედეგები ჯერ არა მოუტანია, მაგრა რომელი ერთი საქმე ხორციელდება ჩვენში ასე მოკლე ხანში ჩვენი საზოგადოებრივ ძალების მიმხედვარე!?.

წელს „კოლხიდა“-მ მეურნეობის მეორე დარგს „მეაბრეშუმეობას“ მიაპყრო ყურადღება და, როგორც ზევით ნათქვამიდან დაინახავთ, იგი 23 ამ თვისათვის მოუწოდებს მეაბრეშუმეებს ზემოდ მოყვანილ საკითხების გამოსარკვევათ. ამგვარი კრების მოწვევა დღეს, როდესაც მეურნეობის ამ დარგშიც წარმოებაც მეტის მეტათ არა ნორმალურ პირობებში ჩავარდა და ხალხი მეტათ შევიწროვებულია ზარ-გაჭირებისაგან,—სწორეთ რომ თანადროულია და სასურველია მას მომეტებულათ სოფლის მწარმოებელი მეურნეები და სპეციალისტები დაესწრნენ. საჭიროა რომ მცოდნე პირებმა გამოარკვიონ მეურნეობის ამ დარგის ნამდვილი მდგომარეობა და მისცენ მიმართულება მომავალ მოქმედებას. ურიგო არ იქნება ქართლ-კახეთიდანაც, სადაც მეაბრეშუმეობა ფეხს იკიდებს, დაესწრებოდნენ იმერლების კრებას და ისარგებლებდნენ აქაურთა გამოცდილება-დაკვირვებით.

**ისო**

## სტუდენტთა კავშირის შესახებ.

გაზეთ „დროების“ 155 №-ში მოთავსებულია ფრიად საინტერესო და საყურადღებო წერილი ქართველ სტუდენტთა კავშირის შესახებ. ამ წერილის კრიტიკული განხილვა, მისი ყოველმხრივი დაფასება და გზა-გზა ახალი მოსაზრების გამოთქმა უმნიშვნელოთ და უდროოთ არ ჩაითვლება. არ შევეხები იმას, რომ სიტყვა „კავკასიური სათვისტომოები“-ს ხმარება სწორი არაა.

ეს ორგანიზაციები ტერიტორიალურ პრინციპზეა აგებული და ამიტომ მათ ეკუთვნის სახელათ „ზემლიაჩესტვო“. სათვისტომო ჰქვია ერთი ტომის, ერთი ნაციის წარმომადგენლებისაგან შემდგარ წრეს.

გადავიდეთ წერილის იდეიურ მხარეზე.

ავტორი გვითითებს უკრაინელ სტუდენტების მაგალითზე და გვირჩევს: „კარგი იქნებოდა ქართველებსაც მიებაძათ უკრაინელ სტუდენტებისათვის და ისეთივე სტუდენტური კავშირი დაეარსებიათო“. მიბაძავს თუ არა ქართველი სტუდენტობა უკრაინელთ, ამის შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ რაც შეეხება ამ საკითხს მან კაი ხანია თავი იჩინა ქართველ სტუდენტების წრეებშიაც და მორიგ საკითხათ გადაიქცა. ალბათ პირველ კრებებს სამოსწავლო წლის დამდეგს ქართველი სტუდენტები მის გარჩევას შესწირავენ და ამიტომ უფრო საინტერესოთ და დროს შესაფერათ მიმაჩნია ამის შესახებ ჩემი მოსაზრების გამოთქმა და უკვე გამოთქმულის კრიტიკული თვალით განხილვა.

რა **მიზანი** უნდა ჰქონდეს ავტორის აზრით ამ მისთვის სანატრელ და სალოდინო კავშირს? ისეთი, როგორც უკრაინელების ორგანიზაციას, ე. ი. 1) რაც შეიძლება მეტი სულიერი ერთობის დამყარება ქართველ სტუდენტთა შორის; 2) სამშობლოს ნიადაგზე კულტურული მუშაობა და ქართველი ხალხის მომწიფებულ საჭიროებების დაკმაყოფილება, მისი კულტურულ-ეკონომიურ უმწეობის წინააღმდეგ ბრძოლა. რა **ტიპის** უნდა იყოს კავშირი? ის უნდა იყოს უპარტიო, მხოლოდ კულტურული და არა პოლიტიკური. რა **ნიადაგზე** შეიძლება სხვადასხვა მიმართულების, სხვადასხვანაირათ მოაზრე და მომქმედი სტუდენტობის მოთავსება ერთ ორგანიზაციაში? სამშობლოში კულტურულ მუშაობის ნიადაგზე—გვიპასუხებს ავტორი. ამნაირათ ავტორმა, რაც შეიძლება საქმის სრული პლანი შეგვიდგინა ქართველ სტუდენტებს. მან დაგვიწერა პროგრამა, მოგვცა ორგანიზაციის ტიპი და მიგვითითა ამ ორგანიზაციის აღმოცენების ნიადაგზე. დაგვიღეჭა ლუკმა, ჩაგვიდვა პირში და, თუ არ გადავყლაპავთ, ეს ჩვენი ბრალი იქნება და ავტორი კი მაინც მადლობის ღირსია გარჯისათვის. მაგრამ განვიხილოთ **პროგრამა, ორგანიზაცია** და **ნიადაგი შეკავშირების.** დავიწყოთ პროგრამიდან.

პირველ ყოვლისა, რაც შეიძლება მეტი სულიერი ერთობის დამყარება ქართველ სტუდენტთა შორისო, სწერს ავტორი პროგრამის პირველ მუხლათ. როგორც სჩანს ის ამ გარემოებას ძალიან დიდ მნიშვნელობას აძლევს, რაკი მას პროგრამაში სწერს, ხაზს უსვამს და პირველ ადგილზე აყენებს. გასაკვირველი მუხლია! მე ბევრი გამიგონია სხვადასხვა ჯურის ორგანიზაციები, სხვადასხვა მიმართულების და ხასიათის: პოლიტიკური, კომუნისტური, რელიგიოზური, მეცნიერული, ფილანტროპიული და სხ. და სხ., მაგრამ ისეთი ორგანიზაცია, რომელსაც მიზნათ დაესახოს სულიერი კავშირის დამყარება, არც მსმენია და არც გამიგონია ასეთი „ფსიხიური ორგანიზაცია“, ასეთი „გრძნობების ორგანიზაცია მე, თანამედროვე მეცნიერებაში, ამერიკის აღმოჩენათ მიმაჩნია. შეიძლება ავტორს ეგონოს, რომ მე საზოგადოთ სულიერი კავშირის უმნიშვნელობას ვამტკიცებდე. არა! ეს ხომ თვით ადამიანის ცხოვრების უარყოფა იქნებოდა. მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ ყოველ ორგანიზაციას მიზნათ აქვს რაიმე **საქმე**, რომელსაც საფუძვლათ უდევს რაიმე **ინტერესი** საზოგადოებრივ ვითარებით გამოწვეული. ამ საქმის განსახორციელებლათ საჭიროა იდეიური კავშირი წევრთა შორის, რაც გამოიხატება პროგრამის და წესდების მიღებაში, სურვილი კი სავალდებულო არ არის და წარმოუდგენელიცაა მისი დავალება წევრთათვის. სულიერი კავშირი-მეგობრობა, სიყვარული და სხ. ხშირათ მოჰყვება შედეგათ იდეიურ კავშირს, მაგრამ მისი სამოქმედო პროგრამაში შეტანა აქამდე არავის მოსვლია ჭკუაში. ამნაირათ ავტორის პროგრამული ფორმულა: კავშირის მიზანი უნდა იყოს რაც შეიძლება მეტი სულიერი ერთობის დამყარება ქართველ სტუდენტთა შორის უნდა წაიშალოს, როგორც ლოღიკურათ შეუწყნარებელი, თუმც კეთილის გულით გამოთქმული დებულება.

მე ვასრულებ ამას, რამდენათაც ძალიმიძს და გადავდივარ პროგრამის **მეორე პუნქტზე.** „უკრაინის ხალხი ეკონომიურათ და კულტურულათ დაცემულია. ვინ უნდა მიეშველოს მათ (თუ მას? ს. ქ.), თუ არა განათლებული ახალგაზდობა?“ ამბობს ავტორი და რადგანაც ჩვენც უკრაინელ სტუდენტობას უნდა მივბაძოთ და ჩვენი ხალხიც ეკონომიურათ და კულტურულათ დაცემულია, ამიტომ აშკარაა ქართველ ხალხს ქართველი სტუდენტობა უნდა მიეშველოს. ერთი სიტყვით ქართველი სტუდენტობის დახმარება, მისი ძალა და მისი ცოდნა მომავალ კავშირში ქართველ ხალხის ეკონომიურ და კულტურულ დაქვეითების წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული—ავტორის აზრით. მაგრამ, სანამ ამას გავარჩევდე, მე მკითხველის ყურადღებას ერთ გარემოებას მივაქცევ, რომელიც ჩემის აზრით მას გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩააყენებს. ავტორი სწერს: „განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ბევრი ბნელი მხარე აღმოაჩინა რუსეთის ცხოვრებაში და საზოგადოებამაც მაშინვე აღიარა, კულტურულ მუშაობას უნდა შევუდგეთ“ო. „ასეთივე დღიურ ლოზუნგათ გადაიქცა კულტურული მუშაობა საქართველოში“.. აქ, როგორც ხედავთ, კულტურული მუშაობა იმ „ბნელ მხარეების“ წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული, რომელნიც განმათავისუფლებელ მოძრაობას აღმოუჩენია. რას გულისხმობს ავტორი „ბნელ მხარეების“ ქვეშ? თუ გულისხმობს რუსეთის ხალხის გონებრივ სიბნელეს-გაუნათლებლობას და მის ეკონომიურ სიღატაკეს, მაშინ მე მოვახსენებ, რომ ეს მხარეები განმათავისუფლებელმა მოძრაობამ კი არ აღმოაჩინა, არამედ მანამდე დიდი ხნის აღმოჩენილი იყვენ და სხვათა შორის მათ გამოიწვიეს განმათავისუფლებელი მოძრაობა. რუსეთის ხალხი, რომ გონებრივ და ფიზიკურ შიმშილს განიცდიდა რევოლიუციამდიც, ეს ყველამ კარგათ იცოდა და იცის, რასაკვირველია იმათ გარდა, ვინც მას შემდეგ დაიბადა. თუ კი იმ ფაქტებს გულისხმობს, რომლების გამოჩენაც განმათავისუფლებელმა მოძრაობამ გამოიწვია, მაგალითად: ლანდეზენაზეფშინა, რეინბოტიადა, გარინის და პალენის რევიზიები და სხვა ამგვარი, ან განმათავისუფლებელი მოძრაობის ცუდ მხარეებს და შეცდომებს, მაშინ ხომ კავშირის მოღვაწეობას პოლიტიკური ხასიათი მიეცემა, რადგან მისი მოღვაწეობა „ბნელ მხარეების“ წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართულიო. მაშინ კავშირი, რომელიც პროექტის აზრით პოლიტიკის გარეშე უნდა იდგეს, თავის თავს თვითონ უარყოფს. ორივე შემთხვევაში ავტორის მსჯელობა კრიტიკას ვერ უძლებს.

მაშ ასე: ქართველი ხალხი კულტურულათ და ეკონომიურათ დაცემულია. მის მშველელათ და დამხმარეთ ქართველი სტუდენტობა უნდა გამოვიდეს. ქართველი ხალხის კულტურულ-ეკონომიური აღორძინება—აი რა უნდა დაიწეროს მან თავის დროშაზე. ის კულტურული მუშაობა, რომელზედაც ავტორი გვეჩიჩინება მე კონკრეტულათ ასე მესმის: მდაბიო მასებში—განსაკუთრებით გლეხკაცობაში—ცოდნის გავრცელება, ესე იგი—წერა-კითხვის შესწავლა, სახალხო ლექციების კითხვა, სკოლების და ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გახსნა, სახალხო წარმოდგენების გამართვა, წიგნაკების გამოცემა, კონცერტების მოწყობა და სხვა. მე მჯერა, რომ არსებობს ბევრი ისეთი დარგი მეცნიერებისა და ისეთი სამოქმედო ასპარეზი, სადაც პრინციპიალური უთანხმოებანი საქმეს ხელს არ შეუშლიან. სულ ადვილათ წარმოსადგენია, რომ სხვა და სხვა პარტიის წარმომადგენლები ერთათ, მაგალითად, მუსიკალურ საღამოს მართავენ, ან წარმოდგენას სდგამენ, ან და ბუნებისმეტყველებიდან, ასტრონომიიდან, მედიცინიდან ლექციებს კითხულობენ, მაგრამ საკმარისია ისინი ხალხის ეკონომიურ მდგომარეობას შეეხონ, საზოგადოებრივ მეცნიერების ნიადაგზე გადავიდენ, მოიწადინონ იურიდიული, ისტორიული, პოლიტიკო-ეკონომიური ცოდნის მიწოდება, რომ განხეთქილება იფეთქებს და „სტუდენტთა კავშირი“ კრილოვის ერთ ერთ არაკის ცოცხალ სურათათ გადაიქცევა. ავტორი კი ხაზს უსვამს, რომ მომავალმა კავშირმა ხალხის კულტურულ-ეკონომიურ უმწეობის წინააღმდეგ უნდა იბრძოლოს. როგორ შეიძლება ამ უმწეობის წინააღმდეგ ბრძოლა, თუ ხალხის ეკონომიურ მდგომარეობას არ შეეხე და საზოგადოებრივი მიზეზების კვლევა-განმარტებას არ შეუდექი—და ეს კი აუცილებლათ „კავშირის“ დარღვევას მოასწავებს. მაშასადამე, ჩვენ არ შეგვიძლია შეთანხმება ხალხის საზოგადოებრივ და ეკონომიურ მდგომარეობის საკითხში

**სერ. ქავთარაძე.**

(შემდეგი იქნება).

## პროვინციის ქრონიკა

**ოზურგეთი.** ამას წინათ არჩეული მომავალი რეალური გიმნაზიის სამაზრო სასკოლო კომისია, როგორც გადმოგვცეს, ბ-ს ქუთაისის გუბერნატორის, გარდა სამისა, სახელდობრივ ექ. დ. ერისთავი, ნ. ასათიანი და მღ. მედ. ქამუშაძე—, „სხვა და სხვა“ მიზეზებისა გამო ვერ უცვნია საჭიროთ რომ დაემტკიცებია. ამასთანავე, როგორც კომპეტენტურ პირისაგან გვიგეთ, გურიის ყველა საზოგადოებების პრიგოვორებიც ხსენებულ გიმნაზიის შესახებ უვარგისი გამოცხადებულა, ვინაიდან პრიგოვორები უფიფილა შედგენილი ყველა წოდების ერთად (всесословный приговоръ), რაც თურმე არსებულ კანონს ეწინააღმდეგება; და ამ რიგათ ხელ ახალი წოდებრივი პრიგოვორებია საჭირო... ამ ჟამათ სასკოლო კომისია მხნეთ მუშაობს და იმედი აქვთ გიმნაზიას გახსნის მომავალ იანვრიდან.

— ამ ერთი თვის წინათ დაპატიმრებულნი ძმები გირკელიძენი და ცეცხლაძე, რომელთაც ბრალსა სდებდენ ოზურგეთის მახლობლათ სახაზინო მინდორში თათარი დარაჯის დაჭრაში, ამ დღეებში უკვე განთავისუფლეს.

— ღამის დარაჯს ილ. ჭელიძეს 1 აგვისტოს ღამით ცეცხლი გაუჩნდა და ერთიანათ გადაბუგა მისი სარჩო-საბადებელი. როგორც ამბობენ, ცეცხლის წაკიდება კერძო ინტერესითაა გამოწვეული.

— ოზურგეთის სამაზრო სასკოლო კომისიას მაზრის უფროსის საშუალებით შუამდგომლობა აღუძრავს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რათა ნება მიეცეთ მათ 23 ამა აგვისტოს, გამართონ ქალაქის ბაღში, საერთო ლატარეა-ალეგრი მომავალი რეალური გიმნაზიის სასარგებლოთ.

— ნაცვლად იმ პირებისა, რომლებიც გუბერნატორმა არ დაამტკიცა სასკოლო კომისიის წევრებათ მოწვეულ იქნენ სხვები, სახელდ. ბ-ნი მაზრის უფროსი, თანაშემწითურთ, ადგილობრივი ნოტარიუსი ჩიჩუა და მასწავლებელი კ. ნაკაშიძე.

## მუშათა შორის

**თფ. რკ. გზის მთავარ სახელოსნოს მუშათა ცხოვრებიდან.** კლასიური სიბეცე გონებრივი სიღატაკე და ზნეობრივი სიმდაბლე, აი რით ხასიათდება ზოგიერთი ჩვენი მუშების ცხოვრება და რომ ეს ასეა, ამას დავინახავთ შემდეგი სტრიქონებიდან: ივლისის შუა რიცხვებში როგორც ეს მკითხველებს მოეხსენება, ვიღაც ბოროტმა ხელმა ვერაგულათ მოჰკლა შორაპნის დეპოს მუშა გ. რუხაძე, რასაც შედეგათ მოყვა მთელი მუშების ქუხილში გამოურა და ციხეში დატუქვეება. ეჭვს გარეშეა, რომ რკ. გზ. ადმინისტრაცია ვერ გააუქმებდა ხსენებულ დეპოს და დათხოვნილთა მაგიერ დასჭირდებოდა ახალი მუშები. გვეგონა, უმუშევრებს ბედმა გაუღიმა თუმცა ეს ძალიან დაემსგავსებოდა ხალხურ ანდაზას: „თხა გავეიდე, თხა ვიყიდეს“, მარა ეს ასეც კი არ მოხდა. ადმინისტრაციამ სხვა საღსარს მიმართა. მან გამოუცხადა სხვა დეპოების მუშებს და მასთან, მთავარ სახელოსნოს მუშებსაც, რომ ვისაც სურდა გადასვლიყო შორაპანში, მარა ბედოს ეს შესცვალა და თითონ დანიშნეს ზევიდან გადასაყვანი პირები (ალბათ ეჭვი შეეპარა, მუშები სურვილით არ დაარღვევენ ურთიერთ შორის სოლიდარულ კავშირსო). ასტყდა აყალ-მაყალი, ზოგი ვინც თავისი ცხვირის იქით ადარ იხედება, ან არ უნდა გაიხედოს, სიხარულით შეხვდა მის გადაყვანის განკარგულებას და ზოგიერთებს კი, დაუდგა თვალწინ ის საშინელი სურათი, რომელიც ადგება მშრომელ ხალხს უდავლდაი(?) და ულუკმოდ(?)თვის, სხვათა შორის ის, რომ ერთმა ავაზაკმა მოჰკლა გ. რუხაძე და ორასამდე მუშა თავიანთი ოჯახობით ღვთის ანაბარა დატოვეს, ესეც არ იმარეს და მუშებს თავისივე მოძმეთა ადგას აჭერინებენ, რითაც სურთ დაითესონ მათში სამუდამოდ შუღლი და თითონვე გათელონ ფეხქვეშ თავიანთი კლასიური ინტერესები და აი, ამ მოსაზრებებით ამ უკანასკნელებმა უარი გამოუცხადეს უფროსებს იქ გადასვლაზე, მაგრამ გამოჩნდა იქ გადასვლის მსურველნი, არამც თუ რიცხვით მათი ბადალი, არამედ გაცილებით მეტი. ესენი უთვალ დღე თავს აბეზრებდენ „ოსტატებს“, არა მე გადამიყვანეთ და არა მეო. ასე გასინჯეთ, ზოგან კენჭის ყრაც კი მოახდინეს. ასე სამარცხვინოთ დასრულდა ეს პროცესი. განა ამაზე მეტი კლასიური სიბეცე კიდევ იქნება?

მეტია უმუშევრების სიმრავლეზე დაპარაკი, მეტია მათ აუტანელ პირობებზე დაპარაკი, რადგან ეს დღეს ბავშვმაც კი იცის, მაგრამ საქმე იმაშია, რა უნარს იჩენს ჩვენი ადგილზე მყოფი მუშები მათ შესახებ? აი რას: ამდენ ხანს თითო-ოროლა კაპეიკს ძალა უნებურათ ეხმარებოდნენ, დღეს ესეც აღარ არის, მაგრამ ამას ვინ ჩივის, რომ უფრო შორს არ წასულიყვნენ, სახელდობრ იღებენ სხვადასხვა საფოდრათო საქმეებს და ამუშავებენ ადგილზე მეფოვებს(?), ზოგი იღებს სარემონტოთ სახლს, რასაც სჭირდება უოცდანაირი მოხელე, ზოგი კერძო ქარხნებშიაც შეძვრა და იქ აიღო საფოდრათო საქმე ძრიელ იაფ ფასებში, ზოგი აშზადებს მოწაფეებს, ვისაც ეს შეუძლია, ზოგი ორი კაცის თანამდებობას ასრულებს ერთ და იმავე დაწესებულებაში და ყველა ეს ხდება ისეთ მცირე ფასებში, რომ ხაზეინები დიდათ სარგებლობენ და ამ გვარათ კონკურენტებს ენადგებიათ, აგერ ჯამაგირიც საკმაო აქვს და თან რახან ნაკლებ ფასებში იღებს, მუშტარიც მეტი ეყოლება და სხვა, ამნაირათ,—ჯამაგირებს გარდა 20—80 მანეთამდე აკეთებენ. ზოგიერთებს მართლაც წინანდელებით, რომ თავი დაენებებიათ ამ მოცემებლობისათვის, მაგრამ მათში ეს უმნიშვნელო ნაწილმა შეიგნო. ასე ამნაირათ უმუშევრების დახმარების მაგივრათ მეტოქეობასაც უწევენ და შუღლს თესენ მუშათა შორის.

მეტი არ იქნებოდა მათი სახელითა და გვარებით აგვეჭრელებია გაზეთის ფურცლები, რადგან ისინი სხვარიგ არ გაწითლდებიან, მარა ეს ერთიც გვცადოთ და თუ კიდევ არ წასწურწულა მათ სინდისმა, მაშინ კი ნურას უკაცრავათ თუ ქვეყანას გამცნოთ მათი ვინაობა და ფარდა ავხადოთ მათ საქმეთასაგმირთო.

გონებრივი საზრდო: წიგნი და ჟურნალ-გაზეთი ზოგიერთებისათვის „მოდაში“ გამოვიდა. ამდენ ხანს თუ სახელისთვის ყიდულობდა (თუ მართლა ქვიან ამას სახელი), დღეს გაბედულათ უარყო იგი და სულ სხვა დაისახეს მიზნათ, მათი გონების ასაყვავებლათ (?!). ესაა ერთი-მეორის პირადობის ფეხქვეშ გათელვა, ცილისწამება, ჭორიკანობა, ლაზღანდარობა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით და სხვა და სხვა. მაგალითები ყველამ ბევრი იცის.

განა ამას გვიკარნახებს დღეს ჩვენი მდგომარეობა? განა ასეთ სისულელეზე უნდა შევაჩეროთ ჩვენ გრძნობები? დღეს, როდესაც დადგა საუკეთესო დრო უკეთეს მომავლის, ნიადაგის მომზადებისა? სირცხვილია ბ-ბო, სირცხვილი და მეტი არაფერი!

**ა. ზ—ა.**

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. დადიშკელიანი.**

### მატარებლების მიმოსვლა

**(18 აპრილიდან)**

ფრჩხილებს გარეთ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში თფილისისა.

**თფილისიდან გადის**

**ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო № 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო № 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო № 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო № 4, საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო № 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

**ბორჯომამდე:** 1) სამგზავრო № 7/8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო № 910, ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

**ჯულფამდე:** საფოსტო № 74/75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 წ. 44 წ.).

**ერევნამდე:** სამგზავრო და საქონლ. № 78/79, ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

**მცხეთამდე:** მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა უქმეებში 1) საგარაკო № 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) საგარაკო № 77ა, ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

**თფილისში მოდის**

**ბათუმიდან:** 1) სწრაფი № 2, დილის 3 ს. 38 ს. (9 ს. 36 წ.).
2) საფოსტო № 4, საღამოს 9 ს. 40 წ. (10 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო № 6, დილის 5 ს. 50 წ. (6 ს. 48 წ.).





## ა ლ მ ე ზ ა

ალმეზა 2 წუთში აცხრობს კბილის ტკივილს. კარგავს პირის სიმყრალეს. ამაგრებს ღრძილებს, აჩერებს სისხლის დენას. აუცილებელი საჭიროა ყოველს ოჯახში. ვარჩენთ კანტორაში უფასოთ. ფასი ნორ. ფლ. 1 მ. 20 კ. საცდელისა 40 კ. ვგზავნით ფასდადებით. დარიგება თან ახლავს; **საწყობის კანტორა თფილისში,** ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ, ნეკრასოვის ქუჩა № 14. 15—8

## სიკვდილი ბაღლინჯოებს.

ახალი საშუალება კლაპოვინი, რომელიც სპობს ბაღლინჯოებს და მის კვერცხებს სულ ერთ მინუტში, რისთვისაც პირობას გაძლევთ. ჯერ არ ყოფილა ამგვარი საუკეთესო წამალი. ფლაკონი 35 კ. დარიგება თან ახლავს. ვგზავნით ფას-დადებით. მოითხოვეთ კლაპოვინი ახობაძისა. **ერთად ერთი საწყობი თფილისში,** ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ, ნეკრასოვის ქუჩა № 14. აფთიაქებს პროც. 30—23